

განთიადი

ორკვირული სამეცნიერო, სა-
ლიტერატურო და საპოლიტიკო
ჟურნალი.

ზ ი ნ ა ა რ ს ი :

1. ბძლის ხმები, ლექსი, ს. ტაიფუნისა.
2. სადა ლექსები, დ. თურდოსპირელისა.
3. ლოდინი, ლექსი, ს. ტაიფუნისა.
4. ჭაშნიკი, დ. თურდოსპირელისა.
5. შვიდი აპრილი, ან საიდუმლოება ერთი საფლავისა, თავ-თეთრისა.
6. ბაბო, მოთხრობა, გაგრძელება, გ. ებრაღიძისა.
7. არა, უნდა გაგებუტო, ლექსი, ი. გრიშაშვილისა.
8. ერისტო, ამბავი, ქ-შორელისა.
9. უცნაური ლარი, სან ტარისა.
10. სალაუბო წერილები, პეტრე მირიანიშვილისა.
11. მელოტი გადაგვარების ნიშანია, ექიმი ბარდიძისა.
12. კრიტიკა, ხომლეღისა.
13. სადღესო, გ. ხონელისა.
14. სახელმწიფო დუმა.
15. სოლომონ ქრისტეფორეს ძე კიპრიხოვი.
16. შეიღებანი და ვანდერველდე ომის შესახებ.

1 აგვისტო 1915 წ.

ა შ თ ა ი ს ი

სტამბა „ძმობა“, ქარვასლის ქ., სახლი ჩარეკოვისა.

მიიღება 1915 წ. ზირველ იანვრიდან ხელის მოწერა სამეცნიერო და სა-
ლიტერატურო და სანალიტიკო ჟურნალ

„გ ა ნ თ ი ა ლ“-ზე,

რომელიც გამოვა ორკვირაში ერთხელ ხომლელის ხელმძღვანე-
ლობით.

წლიურათ ჟურნალი ეღირება 4 მან. 60 კაპ., ნახევარი წლით 2 მან. 30 კაპ.,
სამი თვით 1 მან. 15 კაპ., თვიურათ 50 კაპ., თითო ნუმერი აბაზათ.

წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათა შეუძლიათ. ხე-
ლის მოწერისას 2 მან. 60 კაპ., ჰირველ აპრილს—1 მან. და ჰირველ ივ-
ნისს—1 მან.

ქუთაისში ხელის მოწერა შეიძლება ისიღორე კვიცარიძესთან, თომა მთავრიშვილ-
თან და ძმ. ოცხელების წიგნის მაღაზიაში, თფილისში წ. კ. გ. საზოგ. მდივანთან,
ბაქოში, ქართული სკოლის გამგე მეთოდე კაკაბაძესთან, ფოთში კოწია გამყრ-
ლიძესთან, ხონში - გივლა მეტუკესთან, ბათომში სოსიკო მდივანთან, სოხუმში
ანთიმოზ ჯუღელთან და კავკავში თ. იასონ მერაბისძე ლორთქიფანიძესთან.
ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: Гор. Кутаисъ. Роману Спиридо-
новичу Панцхава.

ამიერიდან ძ. ჟუთაისში გამოდის ახალი გაზეთი

„საფორულო“

გაზეთის ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე
ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი— 7 კ.

ესევე გაზეთი დაურიგდებათ „იმერეთის“ ხელის მომწერლებს.

ვთხოვთ წერილები და ფული გზავნოთ შემდეგის ადრესით: ქუთაისი, რედაქცია
„საშუაზლო“, თფილისის ქუჩა, სახლი პ. ი. გოკიელისა.

გაზეთს ყოველ კვირა ექნება ნახატებიანი დამატება, დამატების გამოცემა დამო-
კიდებულია თანამგრძნობთა რიცხვის გამრავლებაზე.

ვთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი
პორტრეტები.

ვთხოვთ აგრეთვე ადგილობრივ დაწესებულებას და საზოგადო მოღვაწეებს გვი-
გზავნონ პორტრეტები.

მოწვეულნი არიან ცნობილნი და საუკეთესო მწერალ-თანამშრომელნი. მათი სია
ამ დღეებში გამოქვეყნდება.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

ორკვირული საბოლიტიკო, სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი.

ბრძოლის ხმები.

როს ქარიშხალი ძლევა-ქუხილით
გარდაეკდობა ობოლ სამყაროს —
ბრძოლის კიეინში სიამის ფიქრათ
ჩაეკვესება ცისკრისა წყაროს;
როს ელვა-გვრგვინვა ზარბაზნებისა
გაიკლაკნება შავ-ბნელ ღამეში,
გულის ქეითინი მისწყდება მთიებს
და ჩაეკვრება მშობელს უბეში...
ნელ ღრუბელთ შორის გავსრილდები,
ყოფნად ავყვები სუბუქსა ნიავს
და ხსნის ფარვანათ მოგველინები
საბედისწერო-სავალალო წამს...
არყოფნის მხარეს, ვინ უწყს, რამდენი
მიაქვს სიცოცხლე გაუფურჩქნელი...
აქნობს სიამეს, ნორჩსა ყვავილებს
დღეს ეჩრდილება სამარე ბნელი.

II

სანთელი დნება, ო, რა რიგ მწადის
სიამის ნანა ვუთხრა ლომ-გმირებს,
თმა გადუვარცხნო და ის მიხვდება
მშობელი მხარე რარიგ ვალალებს...
გათენებამდი ვკერავ კალათებს —
შეუსვენებლივ, არ ვიცი ჟამი,
და წინათგრძნობა მეჩურჩულება
რო დაგვიდგება დიადი წამი...

ჩემ აბსებაშიც ისევე ბნელა,
სული ობოლი კვნესის, ვალალებს...
მარა მწამს, მჯერა, იმედის მთაზე
სიამის დროშა აიფრიალებს...

ქ. კიევი. 24 ივნისი.

ს. ტაიფუნა.

სადა ლექსები.

ა

არაა ეს გაზაფხული...

აი, უკვე ყველას პირს აკერია გაზაფხული, ყველას გული მეჯლისობს და დღესასწაულობს უზომო შვებით...

მე-კი არა მჯერა, თუ მართლა დადგა სანუკვარი გაზაფხული... არა მჯერა, თუ მართლა მოკისკასდა გარიჟრაჟი ოქრო ფრთავანი...

მას აკი თან მოსდევს ხოლმე სიხარული და სიყვარული... სიკეთეა და თავ დავიწყებაც...

აკი მის მოსვლას უმაღლეს ფერად-ფერათ აყვავილდებიან ხოლმე კისარტყელოვანი სიზრმები... მერე, სადა იგი?... რატო შემომწოლიან შემოდგომის ნისლეები და რათ მიწესტიანებენ მომტირალ სულსა?..

არა, არაა ეს გაზაფხული...

ბ

ლაპარაკი მაინც შევქლოთ...

ხედავთ იმ ნისლეებს?... რა ერთი ხანია, რაც მიტოკავენ ცაზე... რა ერთი ხანია, რაც უგზო უუკლოთ დაუურყუტებენ და მწარეთ იტრმლებიან...

რა უნდათ, ნეტავი... სად მიდიან?... რას დაეძებენ?... რისთვისა ვახლახობენ?..

ახ, მეტყველნი მაინც ყოფილიყვენ საბრალონი... ლაპარაკი მაინც შევქლოთ, როგორმე გინებოთ ხეაშიადი... ოღნავ მაინც გაეჭარვებით გულის არჯალი...

ბ

მიცვალებულია დღე...

დღეს მიცვალებულია მოგონების დღე... დღეს მკვდართა ქალაქი გამოცოცხლდება... დათალხული ხალხი გაემართება სასაფლაოებისკენ და ვარდ ყვავილებით შეამკობენ ძვირფას საფლაოებს...

მე რაღას ვუცი?..

მეც ხო მყავს მიცვალებული...

მეც ხო კარგა ხანია, რაც დავასაფლაოვე ჩემი ოცნება, ფრთებ გაუშლელი...

წავალ მეც იქით ქვითინ-ვალლით ..

წავალ და შავი ყვავილებით შევემოსავ მის სამარეს... შავი ყვავილებით მოვაგონებ მას, რომელსაც ერთი ყვავილიც არ გადაშლია ტრფობის სხივთაგან...

ღ

მიტხარ ზღაპარი ამაოების!..

ღამევე, ჰე, ღამევე!.. ნუ იგვიანებ... მოდი... მოფრინდი... გადამაფარე ციგ-ბნელი ფრთები... თუმცა ცხოვრება შენ მომიწამლე... თუმცა სიცოცხლე მტანჯავ სიზმრებში მამაკვლევიანე... — მაინც შენ გმონებ... მაინც შენ მყავხარ სალოცავ კერპათ...

მო... მოცქრიადი პირ-მქისო ღამევე... ჩამეკარ გულში და ენა-მქევრათ მიტხარ ზღაპარი ამაოების...

დ. თურდოსპირელი.

ლო დ ი ნ ი.

I

შავი ფიქრი—გესლი მწარე ტანჯულ გულსა არ შორდება,
 ცრემლი წმიდა სინანულის აკლდამებზე ფიქრათ დნება,
 ქარიშხალის რისხვით ქროლა ჩემ ობოლ სულს ვერ აშინებს,
 სასაფლაოს ცივი სუსხი ვერ მომდრიკავს, ვერ შემაკრთობს...
 საუკუნის ფიქრთა ლოცვა ვანთიადზე ცისკროვნდება,
 ქვეყნის ცრემლი, შავი ფიქრი ღამის ბინდზე ცით ეშვება,—
 ინახულებს სასაფლაოს, გარინდებულ მწუხრთა ლოდებს,
 ტანჯვის ჯვარზე წაიკითხავს ძეთა გრძნობას, ძეთა ფიქრებს...

II

ცამ არ იცის მიწის კენესა, ცა ვერ იგრძნობს გულის სევდას,
 ვერ გაიგებს ტალღათ ლივლივს, ყურს ვერ მოკრავს ჭავლთა ღელვას,
 თუ ცრემლებში მიწის შვილი, რამდენ გრძნობას გამოხატავს,
 მთის მწვერვალზე მოელვარე ბედის ვარსკვლავს დაინახავს...

მეც მას მივსდევ, ველი ცისკარს, ველი კვლავათ მე განთიადს,
 ვუცდი იმ დროს, როს გაფანტავს ცისკრის სხივი უკუნ-წყვილიადს,
 როს ალაში განთიადის ჩაგრულთ ბანაკს მოვევლება,
 და ცრემლები, მწარე კენესა დღის სიმღერათ შეეცვლება.

ს. ტაიფუნია.

ჭ ა შ ნ ი კ ი.

I.

ვენაცვალე ქართველ ხალხს სულში!..

წედან მიყრუებულს ტყეში რო დავიარე-
 ბოდი დაყურსებული, უცბათ, ბუჩქნარებიდან
 კანჯარით გამოხტა ყელ-მონადერი ქალი და
 მყის შედგა შემკრთალი... არ ეგონა, თუ
 ეინმე დაუხვდებოდა... ნახმა კდემამ გადაკრა
 და მით უფრო დაშვენდა... ზღაპრულს დე-
 ლოფალს დაემსგავსა...

ვუყურებდი მას და, მეგონა, ჩემი თავი
 ძველს ჰელლადაში, სადაც ყოველს ტევრში,
 ყოველს ქალაკში ბინადრობდენ უუკვეკლუტესი
 ნიმფებით ორეადები... ღრიადები...

იმ ქალმა სწორეთ ნიმფა მომაგონა და
 მოკრძალება რამ ვიგრძენი... მისდა ლოცვით
 ასაკვევლდა ჩემი სული და გულმა რელიგიური

გრძნობით იწყო კასკასი....

აი, მან ნაბ-ნაბით გამიარა გვერდით.
 მარა ახლა როდი და გავდა ღია-ღმერთის ამა-
 ლათავანს.

იგინი ამაყათ და თამამად დაფრთხილე-
 ბენ ხოლომე, მასკი მორცხვობით თავი ჩაელუნა
 და სწორეთ ვერც-კი გაველო, ისე უკანკა-
 ლებდა მუხლები... დაწვები ხო ყაყაჩოსავით
 აღაქაქებდენ... იგი, თუმცა ძალიან მალავდა,
 მარა ცხადათ ეტუბობდა, რო შემოხედვაცა
 სურდა ჩემთვის... მას სურდა, შემოხედენა
 ჩემთვის ისე-კი, რომ არ შემემჩნია... მას სურ-
 და, არ შემემჩნია ის ნეტარი შემოხედვა, რო-
 მელმაც სასწაულებრივთ გარდამქნა... უცხო
 ჰანგებით ამიყვავილა გული...

მან ციცასავით ქვეშ-ქვეშ გამოაპარა თვა-
 ლები. მარა ანგარიში წაუხდა... მე დავიპირე

მისი ხედვა... მე ჩავიხედე მის თვალებში და...
 ღმერთო... რა ღრმანი იყვენ ივინი... რა ძა-
 ლუმად ინჩქეროდა შიგ ტრფობის ზღვა... რა
 წარმტყვევნელათ მუსიკობდენ იქ გრძნობათა
 ზვირთები... ყველაფერი ეს ვიხილე ერთს
 წაშს... ერთს წაშს გავიცადე გრძნულ თვალთა
 ტრფობის სხივთა ჩქერა და... მოჩა: მე და-
 ვიკოდე სიყვარულით... საუკუნოთ შევიქენი
 ტრფობისა მონა...

რათ, რათ დამიძონავა ასე ანაზღათ...

რათ ვადამექცა საბედისწეროთ წამიერი
 შემოხედვა იმ ადამიანისა, რომლის ვინაობისა
 და ავანჩავანისა არა ვბცოდრი რა..

მინდოდა ამისი პასუხი გამეგო და მო-
 ვუხმე ჩემს მუხას, რომელსაც ხშირათ გაუ-
 ბრწყინებია ჩემი ბუნდოვანი ფიქრები. მარა
 ახლა გაუწყრა ღმერთი, ენა დაება შერისხულ-
 სავით და რამდენიც არ ვევედრე—ვერა ვა-
 თქმევიწე რა...

ბრახმორეულმა ერთი მაგრა წამოვუთაქე
 კოსროში და ვაბოროტებული გავემართე
 „ნოეს სამოთხისკენ“, რომ ლაღის ნუსხით
 „ჩაღმელია“ ჯავრი, რომ უცბათ ჩემს ჩანგზე
 აცქრილდა უცხო რამ ლექსი:

„ქვეშ-ქვეშ შემოგცქერს, თოლს შეკყარის,
 ჭუჭუნა სვილრს ფერია,
 თავს დახრის, წყნარათ გაივლის,
 ვითომ და არაფერია!

ეტყვი: რათ დამქერ? იძახის:
 ბეჩა! რა ჩემი ბრალია?

კვესო: შენ ცეცხლსა მიაყრი
 და ნუ იფეთქებ, ფალია?!

ვენაცვალე, ვენაცვალე ქართველ ხალხს
 სულში... განა ამაზე უკეთ შეიძლება ფიქრ-
 გრძნობათა ამქვევება?..

მე მინდოდა ჩემი ქყინტლი მუზისთვის
 გამელექსებინა ეს უზენაესი გრძნობა და გე-
 ნიის ხალხს კი საუკუნეთა წინათ აღმუსიკებთა
 იგი და მზის სხივებსავით უზვათ მოუფენია
 კაკლულ სეპართველოს არე მარეში...

2.

მე და ვარდი.

რა ბედნიერია ვარდი. რა სვე-სვიანია...
 იმას აგრე აღვილათ არ ეწვევა ის საშინელი
 განცდა სულისა, რომელსაც ეწოდება სასო-

წარკვეთა...

ან, რათ უნდა ეწვიოს, როდესაც იმდენი
 გული აქვს განგებისგან მიმადლებული...

რა გული?..

ვერ მიმიხედოთ, რისას გელაპარაკებით?...
 აი, კოკრები... გადასაუღრჩქნათ ტუჩგაპობი-
 ლი კოკრები... ისინი არიან ვარდის გულები...

..და, აბა, ამდენი გულის პატრონს, ვით
 ეწვევა კავშინი და უსასოება.

დაუქნება ერთი გულა? მეორე გავმლე-
 ბა წარმტაც შენგებით... მეორე მიიზიდავს
 მზის ცქრილსა სხივებს, გიჟმაჟ ნიავს, და
 მოქლურტულე ჩიტუნებს, რომ ქება-ხოტბით
 ააზატონ ყვავილთა თვალნი...

მოსწყვეტენ ამ კოკორსაც?..

ახლა მესამე გადაიშლება და კვლავ შე-
 ეშვებენ ფირუშ ეთერში გადაშლილი გრძნობა-
 სიხმრები...

ბედნიერია... ბედნიერი ჩახჩახა ვარდი...

მარა, რა ვქნა მე, რომელსაც ერთად-
 ერთი გული მქონდა და ისიც დამეთუთქა...
 მომგზვარხლა ჩემი მტყვევნელის გორაზობი-
 თა... რა ვქნა მე, რომელსაც ჩამომაწვა გაუ-
 თავებელი ღამე და გუნდი-გუნდი სევდის ქო-
 ტები შემომხვებენ საჭირისუფლოთ...

დ. თურდოსპირელი.

ზვიდი აპრილი,

ან საიდუმლოება ერთი საფლავისა.

I

უნდა მოგახსენოთ, რომ ძნელი და ძლიერ
 ძნელია მოგაღოება სასაფლავოს დარაჯისა.
 მარა ამასაც ვერ დაეფარავ, რომ იგი ასე, თუ
 ისე სასარგებლოც არის. მე ეს თანამდებობა
 სულ შემთხვევით მომცეს. ეს იყო უკანასკნელ
 ხოლერობის დროს. მოგეხსენებათ, მანამდი
 სასაფლავოები აქა-იქ იყვენ მოფანტული,
 ერთი მიჩნეული აღგილი არ იყო მათთვის და
 ქალაქიც, თავის მხრით, ძლიერ ცოტას ზრუ-
 ნავდა მათს მოწესრიგებაზე. გაჩდა თუ არა
 ხოლერა, ქალაქიც გონს მოვიდა, აქა-იქ არ-
 სებული სასაფლავოები გააუქმა და დააწესა

ქალაქს გარეთ ერთი საზოგადო სასაფლაოა. ამ საზოგადო სასაფლაოს თვალყურის მადევნებელი ეჭირებოდა, შიშიანობის გამო-კი ძნელი შეიქნა ამ გვარი კაცის შოვნა და სწორეთ ამის გამო—და არა სხვა რაიმესთვის—მე ამირჩიეს. ძნელი იყო პირველ ხანებში ახალი მდგომარეობის შეთვისება, განსაკუთრებით, შიშის ქრუანტელი დამივილიდა ხოლმე მოელს ტანში, როცა ხოლერიან მიცვალებულს მოასვენებდენ. მარა განვლო დრომ და მეც თან-და-თან შევეჩვიე, დავხლოვნი და—მაღლი ლმერთს—დღემდი ვცხოვრობ და არცა რა გამჭივრებია. იქვე, სასაფლაოს შესასვლელში დგას ჩემი სენაკი, ცოლ შევილიც გავიჩინე და ისინიც ჩემთან ერთად ცხოვრობენ.

ნამდვილათ ოც და შვიდი წელიწადი შესრულდა მას აქეთ, რაც მე ჩემ თანამდებობას ვემსახურები და, მართალი ვითხრათ, ბევრი რამ მიწახავს, ბევრი რამ გამიგონია და ბევრი შიშიც გამივლია, განსაკუთრებით, პირველს ხანებში. მარა ისეთი რამ არა ჩვეულებრივი და საშიშოა, რაც მე შვიდ აპრილს ღამეს ვნახე და ჩემის ყურით ვისმინე, ჩემს ღღემში არა მიწახავს რა და არც ამოიშლება იგი ოდესმე ჩემი ხსოვიდან. თქვენ, რასაკვირველია, არ გეცოდინებათ და ამისთვის მე თვით მოგახსენებთ, რო სასაფლაოს საზოგადოთ, თვისი საკუთარი საიდუმლოება აქვს და, ასე გაშინჯეთ, რო თავის საკუთარი ენაკი... ვინ იცის, რა საიდუმლოებით არის მოცული თითოეული საფლავი!.. რო შესაძლებელი იყოს გამოლაპარაკებუ, ან გამოწოდება ყველა იმ აჩრდილთა, რომელნიც-კი აქ საუკუნოთ და უშფოთველათ განისვენებენ, ვინ იცის, რამდენ რამეს გვიამბობდენ თავიანთი საუბრით ჩვენს ადამიანურს გრძობაგონებას!.. მარა ამაზე ლაპარაკით ახლა თავს არ შეგაწყენთ და პირდაპირ გადავალ ჩემი საუბრის მთავარ საგანზე.

ვაზაფხული, იყო დიდმარხვა. ასე, დილის ათი საათი იქნებოდა, რო სასაფლაოს გაღრმავნი ეტლი შემოვიდა. ეტლიდან გადმოვიდა სულ ორი კაცი. მათგან—ერთი მო-

ხუცი ღვედლი და ერთიც ევროპულათ ჩაცმული კაცი, რომელსაც რუხვი პალტოს სახელოზე სამგლოვიარო არშია ქონდა შემოვლებული. ამ კაცს ქონდა ძალზე თეთრი თმა და მასთან შავი წვერ-ულვაშიც.

— ამ სასაფლაოს გამგე თქვენა ხართ? — მკითხა ევროპულათ ჩაცმულმა.

— დიახ, მე ვახლავართ! ეუბასუხე.

— გთხოვთ, საფლავისთვის თავისუფალი ადგილი მიჩვენოთ, მე მიცვალებულის ქირისუფალი ვარ და საფლავი მქირდება.

— რომელი ხარისხისას ინებებთ?

— გთხოვთ, პირველი ხარისხის ამომირჩიოთ.

სურვილი დაუყონებლივ აფუსრულე, მოვეუწოდე ჩემს თანაშემწეს, ამოვარჩიეთ საუკეთესო ადგილი, გავზომეთ, ფასხედაც ბევრი არ გვილაპარაკნია.

— გთხოვთ, ხვალ ნაშეადღევის ოთხი საათისთვის დამიზხადოთ, რადგან იმ დროისთვის მაქვს დანიშნული დასაფლავება—მითხრა მანვე, გამომემშვიდობა და ღვედლთან ერთად ეტლითვე გაბრუნდა.

დანიშნულ დროზე საფლავი ყოველგვარათ დამზადებული იყო და მიცვალებულიც მოასვენეს. დასაფლავებას კარგა დიდ-ძალი საზოგადოება დაესწრო. ბევრს მათგანს გულითადი მწუხარება ემჩნეოდა. მარა, განსაკუთრებით, უზომო მწუხარე იყო ის კაცი, რომელმაც მე საფლავი შემოიკეთა... ცხადი იყო, რომ ეს მწუხარე მამა-კაცი ქმარი უნდა ყოფილიყო გარდაცვალებულის. ამაში უფრო დავრწმუნდი მე იმ დროს, როცა ის კოცნით გამოეთხროვა მიცვალებულს და უკანასკნელათ უთხრა მას: „რისთვის?... რათ?... მე, თუ გინდ, ღირსი ვიყავ და ვარ ამ სასჯელის... მარა ობლები, ჩვენი პატარა ობლები... მათ-კი რაღას ერჩოდით?... იმათ, რა დავიშავეს?!“

II.

ამ დღიდან სასაფლაოს ღრმათ მგლოვიარე სტუმართა წრეს შეეძინა კიდევ ერთი წევრი. უცნობი თითქმის ყოველ დღე მოდიოდა თვისი ძვირფასი მიცვალებულის საფ-

ლაზე, მოწიწებით იხდიდა ქუდს და რალაცას დაფუქუნებდა მდუმარე სამარეს. ამ მდგომარეობაში ატარებდა ის თითქმის მთელს საათებს. ზას არ ამბროლებდა, არც ამინდი, არც დაღლილობა, არც სხვა რაიმე მიზეზი. მე თანდათან ცნობის მოყვარობა მიტაცებდა და მსურდა ვამეგო, ვინ, ან რა კაცი იყო ეს უცნობი ჭირისუფალი... ძლიერ გამიძნელდა ამის მოხერხება, რადგან ამისთვის საჭირო შემთხვევა არ მომეცა და სასაფლავოზე მოსიარულეთაც არ იცოდენ იმისი ვინაობა.

ერთხელ, საფლავთან ხანგრძლივი ფეხზე დგომის და ფუქუნის შემდეგ, უცნობი მოღალულ-მოკანცული დაჯდა იქვე მდებარე ქვაზე, დააბჯინა მწუხარებისგან დამძიმებული თავი მუხლებზე დაყრდნობილ ხელებზე და კარგახანს იყო ამ მდგომარეობაში. შემდეგ, ასწია თავი, მოიწმინდა შუბლი ცხვირსახოცით და დამწუხრებულის კილოთი მომიბრუნდა:

— უკაცრავათ-კი გახლავართ, მარა არ შეიძლება ცოტა წყალი მომაწოდოთ, მე რაღაც ძლიერ ცუდათ ვგრძნობ თავს. გამოვიტანე იმ წამსვე სენაკიდან ხელაღი წყალი და მივაწოდე. დალია წყალი, გაიგრილა ხელები და შუბლი და ისევ მომიბრუნდა:

— გმადლობთ, ძლიერ გმადლობთ!.. ამ წყალმა მე დიდი სამსახური გამიწია და თითქმის მიღეული გული მომიბრუნდა... გთხოვთ, მიბრძანოთ: ეს წყალი აქაური მდინარისაა?

— არა, ბატონო, მდინარე აქიდან ძლიერ შორსაა და იქიდან სხმართა წყლის ზიდა ითქმის მოუხერხებელია. ეს წყალი ადგილთლობრივი წყაროსია.

— წყაროსი?... მისთვისაცაა ასე გემრიელი და სასიამოვნო!.. მარა ესეც მიბრძანეთ: ვე წყარო აქ სადმე სასაფლავოსთან ახლოს არის?

— დიახ! აი, აქვე.

— განა მანებელი არ იქნება სასაფლავოზე ასე დაახლოვებული წყაროს წყალი?! | რა, რას ვამბობ?... არაფერი... სისულელეა... მწ... დაპარაკა ზინ თავისთვის.

— გაგკადნერდები, ბატონო, და გთხოვ მიბრძანოთ, თქვენი ვინაობა და აგრეთვე ისიც,

თუ რა არის თქვენი ის მიცვალებული, რომელსაც ყოველდღე ნახულობთ?... შევეკითხე მე, ჩემი მხრით.

— მე, ჩემო ძმაო, აქაური არა ვარ, შორეული ვარ და მხოლოდ გარემოებამ ჩამომავლო ამ თქვენს ქალაქში... მიცვალებული ჩემი დღეს არაფერი აღარ არის... დიახ, არაფერი არ არის, რადგან ის უკვე მკვდარი და მიწათ ქცეულია... მხოლოდ ერთხელ-კი, ე. ი., სიცოცხლის დროს, ის ჩემი ცოლი იყო...

— გეტყობათ, რო ძლიერ სამწუხაროა თქვენთვის მისი სიკვდილი.

— სიკვდილი? სიკვდილი არ იქნებოდა და არც არის სამწუხარო, მარა სამწუხარო ჩემთვის მხოლოდ ისაა, რომ ის არ მომკვდარა... მაშ, რა?! — შევეკითხე მე გაკვირვებით.

— არა, მან ძალით მოიკლა თავი...

— როგორ?

— დიახ! თავი მოიკლა!..

— ეგ-კი, მართლაც და, დიდი სამწუხაროა და ძნელი ასატანიც... მარა არ შეიძლება მიბძანოთ მიზეზი, რისთვის და რათ მოეპყრა თავის თავს ამ გვარ სასტიკათ?

— თავის თავს მოეპყრა?!.. ის მხოლოდ მე მომეპყრა ასე სასტიკათ, მე და არა თავის თავს.. მარა მიზეზს-კი ვერ გეტყვი, ჩემო ძმაო. და ვერ გეტყვი ერთი იმიტო, რომ მე თვით არ ვიცი. და, მეორეც, იმისთვის, რომ ამაზე ლაპარაკი შეძნელება... ამ საგანზე ლაპარაკი მკლავს, სულს მიხუთავს, გრძნობას მიკარგავს... დიახ, შეძნელება და ამისთვის, გთხოვ, ნურც მკითხავ მიზეზს... სულ ერთია, ვერ გეტყვით... ამ სიტყვებით მას თვალგზში ცრემლები მოერია და ერთბაშით ქვითინიც დაიწყო... ამ დროს საცოდავი სანახავი იყო ეს ადამიანი. მე ის შემებრალა და არც ვიცოდი, რით შენუგეშებინა, ან რა მეთქვა.

— მოწყალეო ხელმწიფეო! ნებას მომცემთ, ერთი, ან ორი ჭიქა ღვინო მოვართვათ?... ის თქვენს სევდას გაგიქარწყლებთ და ცოტა მხნეობასაც შეგმატებთ, — ცუთხარი მე.

— მადლობელი ვიქნები. აქანკალებული ხმით მითხრა მან. დალია ზედი ზედ რამდენი-

მე ქიქა ღვინო, ცოტა გამოცოცხლდა და დაიწყო:

— მე ეს ხუთი-ექვსი წელიწადია, რაც აქ ვცხოვრობდი ცოლ-შვილით, ტომით ბერძენი, ხალხი ხელობით-კი მხატვარი ვარ. ბედნიერათ მიმაჩნდა ჩემი თავი და უნაკლულადაც ვიყავი. ჩემს სურათებს ყველგან გასავალი ქონდა და გვარიანი მხატვარის სახელიც მქონდა. ვცხოვრობდი ტკბილათ მეგობარ ნაცნობებში, ამხანაგებში და, განსაკუთრებით, — ცოლ-შვილში... მარა არა რაიარს სამუდამო ამ ქვეყნათ... და ჩემს ამ გვარს ცხოვრებასაც ბოლოც მოეღო... აღარ მყავს ის, ვისთვისაც ვცხოვრობდი, ვინც იყო ჩემი ცხოვრების მიზანი, ვისაც ვძღვნიდი პირველს ჩემს ნაწარმოებს... აღარ არის ის, ვინც მე ცხოვრებაში მახარებდა და ვინც ჩემით ხარობდა... ჩემთვის სიცოცხლე ჯოჯოხეთათ გარდაქცეულა და ამ ჯოჯოხეთში ვარ მარტოდ მარტო მე, ობოლი სულით, ობოლი ცხოვრებით...

— შვილები ხომ გყავთ? შევეკითხე მე.

— მყავს, დიახ, მყავს და ცოტაც არა — ექვსი ქალ-ვაჟი. მარა, როგორ გგონიათ, მათ შეუძლიათ განა ჩემს გულში აღზნებული ცეცხლი ცოტა ოდნით მაინც გაანელონ?! არა!.. პირიქით, მათი მზერა მეტს ცეცხლს მიჩენს, მტანჯავს, გულს მიკლავს, რადგან ვიცი და ჩემის დაბრმავებული თვალითაც ვხედავ, რო მათ ის აღარა ყავთ, რაც ყავდათ, რო მათ აღარა ყავთ... დედა! დიახ, დედა... დედა ხო დიდებული სიტყვაა, სიტყვა, რომელიც სხვა სიტყვით არ შეიცვლება და, მაშასადამე, ჩემს დაობლებულს შვილებს აღარა აქვთ საშვალეობა ოდესმე ეს დიდებული სიტყვა წარმოათქვან და მიმართონ ვისმეს: დედა, დედა!

— რა გაეწყობა, უნდა დამემორჩილოთ გარემოებას, ალბათ, განგებამ ეგ ბედი გარგუნათ...

— განგებამ?!. იქნებ, მართლა განგებამ!.. მარა რათ, რისთვის დაქირდა ამ განგებას ჩემი ამგვარი დასჯა, ან რა განგებაა ის განგება, რომელიც ამდენათ სასტიკია და არ იცის ზომა სასჯელისა?!. არა, ძვივ, განგება აქ არაფერ შვაშია, იმან არაფერიც არ იცის და

არც უნდა იცოდეს... მარა ამაზე სხვა დროს ვილაპარაკოთ, შეგვხედვით კიდევ ერთმანეთს, მე ხომ აქაურობის ხშირი სტუმარი ვარ... ნახვამის!.. გამადლობთ ყველაფრისთვის, გამადლობთ!.. გამომემშვიდობა და ნელის ნაბიჯით, თავ ჩალუნული გაუდგა გზას...

თავ. თეთრა.

(შემდეგი იქნება).

გ ა ნ თ.

(იხ. „გან“ № 10.)

XIII

საბებიო ინსტიტუტში სადილომომო ეგზამენები თავდებოდა. ქალაშვილები გულის ფანცქალით მოელოდნ იმ დროს, როდესაც ხელში იგდებდნ იმ სანეტარო ქალაღს, რომლისთვისაც ამდენი შრომა და ენერჯია დახარჯეს.

ყველანი ახალგაზღვრი ცეცხლით აგზნებული ნაირ-ნაირ სამოსელში ხვევდა მომავალ თავის ცხოვრებას.

— აღამიანს მხოლოდ საქმის სიყვარული, კეთილი მისწრაფება ქონდეს და ბევრის, ძლიერ ბევრის გაკეთება შეუძლია საზოგადოების საკეთილდღეოთ, — გაცხარებულათ ეტყოდა ხოლმე ამხანაგებს მუდამ ცელქი, სიცოცხლით სასე, ქეთო.

— ერთი შენც!... გამომიხვედი ფილოსოფოსი, რაღა!... იგემებ ცხოვრების სიტკბოებას და ნახავ, როგორი მოღვაწე იქნები. — გამოებმაურემოდა მას „კკუა დამჯდარი“ ასული, რომლისთვის მხოლოდ თვისი „მე“ შეადგენდა ყველაფერს.

— ფილოსოფოსობაა ეს, თუ სისულელე, მე ქეშმარიტებას ვამბობ და კიდევაც შემიძლია მისი ასრულება.

— შენისთანა იდეალისტები ბევრი მინახავს, ჩემო ქეთო, მარა ცხოვრებაში გასვლილსათანვე „გაკუქისტებულა!“ ხა, ხა, ხა!..

— ერთი მითხარი, თუ ღმერთი გწამს, ჩაერეოდა მათ ლაპარაკში სხვებიც, რაში

უნდა გამოიხატოს შენი საზოგადო მოღვაწეობა?...

— რაში? აი, მოგახსენებ: ჩვენ, ახალგაზღვრა, რომელთაც ინტელიგენტთა მოგვაქვს თავი, მოწყვეტილი ვართ ნამდვილ ცხოვრებას. მივიღებთ, თუ არა სწავლას და წარმატებას, მაშინვე არისტოკრატიული სენი გვიპყრობს. არათ ვაგდებთ იმათ, ვინც ჩვენზე ცოტათ დაბლა დგას მდგომარეობით და მაღალ წრეს, მაღალ საზოგადოებას ვეპოტინებით. ვცდილობთ ქალაქებში მოვიკალათოთ და „მე“-ს მეტი აღარავინ გვახსენდება. ჩვენ ფართო საზოგადოებას, დემოკრატიას არ ვიცნობთ და, რომც ვიცნობდეთ, ჩვენში დაბუდებული ეგოიზმი ნებას არ გვაძლევს, დავუახლოვდეთ მას.

— მართალია, მართალი. ქეთო ქეშმაირიტებას ლაპარაკობს, ღმერთმანი. მხოლოდ ეს კია, რო ჩვენს დაკნინებაში თვით საზოგადოებას უღვევს ბრალი.

მახსოვს, პატარა რო ვიყავი, დედა ჩემი სულ ჩამჩინებდა: რა საჭიროა, შვილო, სწავლა. ვინც რამე ისწავლა, ყველა გაფუჭებული და ზნე დაცემულია. ათასი „კუროები“ დასდევენ... ღმერთი არ სწამთ და სენდისი“—... ახლა—კი, როდესაც დიდის „ომის“ შემდეგ, მე ჩემი გავიტანე და ვაი ვავლახით საბებო ინსტიტუტში შევრგავი თავი, ახლა იგივე დედა ათასნაირი ფერადებით მიმოსავს მომავალს, როდესაც მე ბებია გავხთები, პაციენტები სახსე მყყოლება და აურაცხელ ფულს დავაზღვავებ!... მერე მე ვინმე დოქტური მითხოვს და დიდებული ცხოვრება მექნება. აი, ასეთ ეგოისტურ გრძნობებს მინერგავდენ ნორჩ გულში. ამას შემდეგ, რა საზოგადო მოღვაწე უნდა გამოვიდეს ჩემგან!...

— ახლა ხომ ახელილი გაქვს თვალები და უნდა იმაცადინო, რო მშობლების შეცდომა არ გაიმეორო. ჩვენი ვალდებულებაც ეს არის...

ამ დროს, როდესაც ისინი ასეთ საუბარში იყვენ გართული, სამოსწავლო ოთახის ერთ-ერთ კუთხეში განკრძობულათ ისხდენ

ბაბო და ანეტა და გაცხარებულათ ლაპარაკობდენ.

დრო გამოშვებით ისეთი თვალით გადახედავდენ ერთმანეთს, თითქო ვალახვას უპირებენო ერთი მეორეს.—

— ბაბო! ყოვლათ შეუწყნარებელია შენი საქციელი, ღმერთს გეფიცები. შენ რას ჩაღიხარ, თვით არ გავგეგება. აბა, კარგათ დაუფიქრდი!... ქვეყანამ იცის, რო დანიშნული ხარ. ის ადამიანი ამდენი ნახარჯია შენზე, გაგიყვითაც უყვარხარ,—მე ამაში დარწმუნებული ვარ. —მაშ, თუ არა სიყვარული, ვინ სულელი გასწევს ამდენ ხარჯს!... შენ—კი ვილაც ივან პეტროვიჩს დასდევ კულში. სირცხვილია, ბაბო, სირცხვილი, ეს რო გიგლამ გაიგოს, სწორეთ რომ უბედურება დატრიალდება.

— რაფერ გეიგებს?.. ვინ გააგებიებს?.. ეს ამბავი შენს მეტმა არავინ იცის. და სხვა ვინ გააგებიებს, თუ არა შენ!..

— ოჰო! მადლობელი ვარ! მე ვიცოდი, რომ ამას მეტყოდი.— გაჯავრებით შეუტია ბაბოს ანეტამ.—მეტი საქმე—კი არა მაქვს მე!?!.. იმას ვატყობიებ, ვის დასდევ შენ და ვის—არა!..

— ძალიან უკაცრავათ ბძანდებით; მე არავისაც არ დავსდევ... შეგიძლიათ სიტყვა უკანვე დაიბრუნოთ.

— ბატონი ბძანდებით!.. მე შენთვის ვამბობ, თორე მე ამით არაფერი დამაკლდება.— ამ სიტყვებით ანეტა გაშორდა ამხანაგს, სიბრაზისგან გაწითლებული თვალებით მოკლეთ გადახედა მას და გესლიანათ ჩაილაპარაკა: „ქალი არ ვიქნები, თუ ივან პეტროვიჩი არ წავგართვი. საძაგელი!.. ქუთაისშიაც წინ მელობებოდა და აქაც მოსვენებას არ მაძლევს!.. აბა, ვნახოთ: შენ, თუ მე?!..“

XIV

— მოვროვდით, მოვროვდით, ამხანაგებო!... მოისმა ამ დროს ტალანში ახალგაზდა ქალის საამური ხმა, რომელსაც გამოძახილი მისცა გძელი ტალანის შორეულმა კედელმა. ამ დაძახილზე მოწაფეები მასთან შეიჯგუფენ.

— რა იყო, რა ამბავია? — ცნობის მოყვარობით შეეკითხნენ მას აკითხიდან.

რა ამბავია — და მოსალაპარაკებელი გვაქვს რაღაც. შევიკრიბოთ და გავიგებთ. — დინჯათ მიუვო მან ამხანაგებს?, ხელი ოთახისკენ აჩვენა და თვით კარებთან გაჩერდა.

ეს ახალგაზდა ქალი-მოწაფე თვისი სიღინჯით და ხნოვანობით „მამაშათ“ იყო ამხანაგებისგან მონათლული. მას ყველა ყურს უგდებდა და კრძალვით ეპყრობოდა.

მართალია, იგი სხვებზე არც ცოდნით, არც განათლებით წინ არ იდგა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მის მუყაითობას და საბებიო მეცნიერებისადმი მიდრეკილებას. მარა, თუ კაცმა ერთხელვე მოიხვეჭა სახელი და გავლენა საზოგადოებაში, ეს გავლენა ტრადიციულად ღრმავდება და ძნელია მისი აღმოფხვრაც.

სწორედ ასეთ გავლენიან პირათ ითვლებოდა ამხანაგებში ეკატერინა მაქსიმოვნა, როგორც მას უძახოდნენ.

სამოსწავლო ოთახი, რომელშიაც გასათავებელი კურსის ახალგაზდები სწავლობდნენ და, სადაც ახლა მოსალაპარაკებლათ იკრიბებოდნენ, ტალანის ბოლოში მდებარეობდა. ეს ოთახი სხვებზე მოზდილი იყო და სინათლევ შედარებით მეტი ქონდა, მიუხედავად იმისა, რო ფანჯრების მინები მელით იყო შელესილი, რომ მოწაფეებს გარეთ ცქერა და ცულღუტობა არ დაეწყო.

ოთახის კედლები სხვა და სხვა, მეცნიერული ხასიათის ნახატებით იყო დაფარული. ერთ კუთხეში მოწაფეთათვის მაგიდები იყო ჩამწყობებული. შუაგულ ადგილს კი კათედრა იდგა, რომელიც მდიდურად გადმოყურებდა იქაურობას.

მოწაფეები წყებ-წყებათ შამოდიოდნენ ოთახში და რიგი ჯდებოდა, რიგიც — კი ღია ფანჯრებთან ჩერდებოდა, ქუჩისკენ გაიყურებოდა და უდარდელათ კისკისებდა.

ყველაზე დაბოლოს ეკატერინა მაქსიმოვნა შამოვიდა და კათედრასთან გაჩერდა.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა და ამ სიჩუმეში გარკვევით გაისმოდა საათის „ტაკ-

ტუკ“, რომელიც კათედრის უკან მომალდლოთ კედელზე ეკიდა.

ეკატერინა მაქსიმოვნამ დიდ მნიშვნელოვანათ მიმოავლო იქ მყოფთ თვალი, ერთიც წყნარათ ჩაახველა და, ბოლოს, სასიამოვნო ხმით საუბარი დაიწყო.

მან შორიდან მოუარა საკითხს: მოკლეთ, მარა მკაფიოთ აუხსნა აუდიტორიას დღეინდელი დღის მნიშვნელობა, ნათლათ დაუხატა ის უბედურობა, რომელიც ასე მიულოდნელათ დააწვა თავს ქვეყნიერებას და, რომელიც თვისი ბუმბერაზობით და სიმკაცრით არაჩვეულებრივია კაცობრიობის ისტორიაში, მისი აუცილებელი შედეგები. დაუხატა გაჭირვება იმ მილიონ მეომართა, რომელნიც ათი და ასი ათასობით იხოცებიან უცხო ცის ქვეშ, მტრების უღომბელი ტყვიებისგან და სხვა და სხვა.

იგი ისე გატაცებით ლაპარაკობდა, ისე გარკვევით, ნათლათ ხატავდა დღიურ ქირ-ვარამს, რო გეგოხენოდა, ამ ახალგაზდა ქალს ახლა-ხან მიუღია პროფესორობის ხარისხი და პირველ ლექციას უკითხავს აუდიტორიას.

აუდიტორიაც გულ-დასმით უსმენდა მას. მთელი გულის-ყური მისკენ მიეპყრო და სახეზე აღბეჭდილი, ხან მრისხანება, ხან — კი უიმედო დაღვრემილება ნათლად მოწმობდა, რომ მათი გრძნობიარე გული ბოღმა-ნაღველით ივსებოდა და წყევლა-კრულვას უგზავნიდა ამ საკაცობრიო უბედურების გამომწვევთ.

— „ასეა, ჩემო კეთილებო! — დაათავა კატომ ლაპარაკი. იქ, შორს, ჩვენი სულთმობრძავი ძმები, ღვთის ანაზრათ მიტოვებულნი, აუწერელ ტანჯვაში ლევენ სულს. მათი კვნესა და ვიში იკარგვა თოფის წამლის სუნით გაყდენთილ ჰაერში და განუწყვეტელი თოფ-ზარბაზნების გრიალი ფარავს მას.

ამხანაგებო! სამშობლო, ჩვენი საერთო სამშობლო დიდ განსაცდელშია. ჩვენი ვალდებულობაა, რათაც შეგვიძლია, ხელი შევეწყუოთ მის დაცვის საქმეს, ჩვენს თავდადე-

ბულ მოძმეთ წყლული დაეფამოთ. ღმერთს ჩვენთვის ურგუნებია მომზადებულათ შევხვედროდით ამ დიად მოვლინებას და ჩვენც ნუ დავიშურებთ ჩვენს ცოდნას და ენერჯიას სამშობლოს საკეთილ-დღეოთ. შევადგინოთ, ამხანაგებო, მოწყალების დათა რაზმი და გავეშუროთ იქ, სადაც ჩვენი ძმები იხოცებიან და დაეუამოთ მათ წყლული!

— შევადგინოთ, შევადგინოთ!...— თითმის ერთხმად დაიგუგუნა აუდიტორიამ, როელსაც გამოძახილი მისცა თეთრად შეღებილიმა ჭერმა, თითქოს იგიც თანაუგრძობდა ამ სიმპატიურ საქმეს.

— მეთაურიც დიდებული ეყოლება ჩვენს რაზმს. ჩვენი, ყველასგან პატივცემული ივან პეტროვიჩი მკურნალათ არის დანიშნული იქ ერთ-ერთ საავთმყოფოში და ჩვენც მასთან ვიმუშავებთ. იგი ჩვენი შეუღარებელი მასწავლებელია და ამ საზოგადო, კეთილი საქმის კეთებაში ჩვენ პრაქტიკულ შკოლასაც გავივლით მასთან.

— შევნიერია... დიდებულია...— კიდევ გაისმა გუგუნე, უფრო ძლიერი, უფრო გრძობიერი პირვანდელზე.

— მაშ, ვინც თანახმა ხარ ამ წინადადების, გამოძახნდით და სიაში ჩაეწერეთ.

— ჩაეწეროთ, ჩაეწეროთ...— და მოწაფეები ერთის აურ-ზაურით ადგილიდან აიშალენ.

— ამხანაგებო!.. ყოვლათ შეუძლებელია ასე დაუფიქრებლათ რამე გადაწყვეტილების მიღება, — მტკიცეთ წარმოთქვა ერთმა ქალიშვილმა, ამ დროს, რომელიც სულ უკანა რიგში იდგა და გაჩუმებული ყურს უგდებდა საერთო კამათს. — ჩვენ მშობლები და პატრონები გვყავს და იმათ უნდა დავეკითხოთ..

— მართალს ამბობს თიკო; უნდა დავეკითხოთ, უნდა დავეკითხოთ...— გაისმა აქაიქ მოწონების ხმები...

— ეს სილაჩრეა, მეტი არაფერი... კიდევ აპეკუნები გჭირდებათ!..

— უკაცრავათ ბძანდებით!. თქვენსავით თავ აშვებულები არ გახლავართ, უფროს—

უნცროსობა რომ არ იკით...

— ჩაიდეთ პირში „სოსკა!“.. ისაა თქვენი საქმე...

ამას მოყვა უფრო მკაცრი სიტყვები და, ბოლოს, საქმე იქამდე მივიდა, რომ ცოტა-და დააკლდა ხელ-ჩართულ ჩხუბს. რომ ისევ კატო არაა, ცუდი შედეგები მოყვებოდა მას.

დიდის ვაი-ვაგლახით აუდიტორია დაწყნარდა, აირჩია ხელმძღვანელათ ეკატერინა მაქსიმოვნა, რომელთანაც მსურველთ მოწყალების დათ ჩაწერა შეეძლო.

XV

მოწყალების დათა რაზმის შედგენა სასურველათ დამთავრდა. სულ რამდენიმე დღეში ოციოდე ახალგაზდა ქალი ჩაეწერა შიგ. ამ საქმის მოგვარება, მისი სირთულის გამო, ივან პეტროვიჩმა იკისრა. იგი, საზოგადოთ, დიდი მოყვარული იყო ყოველივე ახალი დასაწყისის და აქაც გამოიჩინა მან თვისი სიციხოველე და საქმისადმი სიყვარული.

ბაბოც, რასაკვირველია, ხალისით მოეკილა ამ დიად საქმეს, მით უმეტეს, რომ მისი სათაყვანებელი ვანო მეთაურობდა მას, რომელთანაც შეუძლებელიც—კი შესაძლებელი იყო მისთვის. ივან პეტროვიჩი ომის ასპარეზზე მიდის, ბაბოც უნდა წავიდეს იქ, რომ არ დაშორდეს თავის იმედს-ვანოს, უნდა გაიზიაროს მისი დაღბნება და გაჭირვებაც; მასთან ერთად უნდა მოკვდეს, თუ ბედისგან ეს უწყრია, მასთან უნდა იცოცხლოს და, თუ შაღალი ღმერთი მშვიდობით დააბრუნებს მათ, მაშინ მის ბედნიერებას საზღვარი არ ექნება; იგი იქნება დამსახურებული მკურნალის ცოლი, რომელსაც ყველანი პატივისცემით ეპყრობოდეს, იქნება.

ასეთი აზრით და მისწრაფებით გამსჭვალული, ბაბო დიდის აღფრთოვანებით მიეგება მოწყალების დათა რაზმის შედგენას და დიდი აკტივობაც გამოიჩინა აქ.

ახლა მას საბუთი ქონდა თავი ემართლებია მშობელთა წინაშე: მისი ამხანაგები მიდიან და იგი ხო ვერ ჩამორჩება მათ. მასზე ვერ გასჭრა მოხუცი მამის ხეწნა-მუდარამ, რომელიც მისდა წასაყვანათ იყო ქალაქში

ჩასული. ვერც პელოს ცრემლებით დასველებულმა გრძნობით სავსე წერილმა, რომელიც მას სწორეთ გამგზავრების წინა დღით მოუვიდა. ბაბო გულ-ქვა დარჩა ყოველივე ამების მიმართ; დაემო დედა, მამა, საყვარელი პელო, წარმოიდგინეთ, გიგლაც—კი, რომლისთვის ამ სამიოდე თვის უკან თავსაც—კი დადებდა—და ივან პეტროვიჩს გზა და ხიდათ გაედო. ახლა მას ვანოზე ამოდის მზე, ვანოზე ლოცულობს და მომავალ ცხოვრებას, როდესაც ქმარი მკურნალი, თვითონ—ბებია - დიდ ქალაქში დაბინავდებიან, ათასნაირ ფერადებით მოსავდა.

ყველაფერი გადაწყდა.

დანიშნულ დროს მოწყალეების დებმა რკინის გზის სადგურზე მოიყარეს თავი. ყველას აღტაცება და ბავშური სიხალისე ემჩნეოდა, თითქოს ომში კი არა, სადმე სადღესასწაულოთ გამართულ მეჯლისში მიდიოდნენ.

სადგური ხალხით იყო გაჭედილი.

მატარებელი უკვე ჩამომდგარიყო.

უკანა ვაგონი რკინის გზის მთავრობას მოწყალეების დებისთვის მიეცა.

აქ განსაკუთრებით დიდ ძალ ხალხს მოეყარა თავი.

ვინ საყვარელ ქალიშვილს აცილებდა, ვინ-მოყვარენათესავს, ვინ-კი—მეგობრებს.

აქ ბაქანის მოაჯირთან დაინახავდით ბაბოს, რომელიც ჩაფიქრებული იდგა და ყურს უღებდა დიასახლისის დაუსრულებელს ლაზღანდარობას.

კოტა ხანიც და მათ ივან პეტროვიჩი შეუერთდა.

— შენ აქა ხარ, ბაბო?—მხიარულათ შეეკითხა იგი ბაბოს.— ხაბაკები?..

— შევაზიდვინე... დიდებულათ მოვეწყვეთ!..

— ბარაქალა, ბარაქალა .. თქვენ რამ მოგაწყინათ?...— შეეკითხა იგი შემდეგ დას და სიძეს.

— როგორ რამ მომაწყინა!.. როგორც იყო ველირზე შენს ნახვას და ახლა დასაკარგავ ადგილში მიდისხარ!..

— არა უშავს, ჩემო მარკო; ჩვენ ხო ბძოლის ველზე არ ვიქნებით: ტყვია ვერ მოგვეწვდება!..

— ღმერთმა ქნას... ყველანი ასე ამბობთ და... ხო, მართალია... კინალამ დამავიწყდა..— დიდმნიშვნელობით წარმოთქვა დიასახლისმა, როდესაც მათ ბაბო გაშორდა, — გაფრთხილებ ვანო; შენ ბაბოსთან რაღაცას ეშმაკობ!.. არ გაგიწყურეს ღმერთი.. ცოდვაა. ბარიშა ქალია, ღარიბი დედამისი შვილი..

— ხა, ხა, ხა, ხა!..— გულიანათ გადინხარხარა ამ სიტყვებზე ივან პეტროვიჩმა.

— რა გაცივებს?... მე კარგათ ვიცი შენი ხასიათი და ცოდვაში არ ჩადგე... ჩემი ხათრი და სიყვარული, თუ გაქვს...

— ეე.. ჩემო მარუსა!. რა დროს ამავზე ლაპარაკია! НУ СТЫЯИ!..— ტუჩებ აპრუწვით წარმოთქვა ივან პეტროვიჩმა და საღბარი განზრახ სხვა საგანზე გადაიტანა.

კოტა ხანი და მესამე ზარიც დაკრეს. ხალხს მოძრაობა დაეტყო. გაჩდა დაუსრულებელი ხვევნა—კოცნა,— ჩუმი ქვითინი ზსასოებით აღსავსე ლოცვა-კურთხევა ისმოდა აქა-იქ.

მატარებელი დაიძრა და გუგუნია სადგურს გასცდა.

უკანა ვაგონის ფანჯრებიდან დიდხანს მოჩანდა ახალგაზდა ქალების თავები და თეთრი ცხვირსახოცების ჰაერში ფრიალი.

გ. ებრალიძე.

არა, უნდა გაგებუტო!

არა, უნდა გაგებუტო! გაგეცალო! გაგეყარო!

მეც მომწყინდა ერთფერობა, მეც მომწყინდა ეს სამყარო.

რა გატირებს? ეს სული ხო სამუდამოთ არ გშორდება?

საძაგელო! სიყვარული განა მუდამ მეორდება!?

სუ, სუ, ჩემო! სუ... გეხაცვა! სუ... კარგი და! სუ... დაწყნარდი...

შენ არ ამბობ—ხო გიყვარვარ? შენ არ ამბობ—ხო მიყვარდი?

მხოლოთ მინდა გაგებუტო, გაგებუტო მხოლოთ მინდა!

მგოსნის გჟღათქმა ტრფობის ფრთაა, უმწიკველო ჭწმიდათ-წმიდა.

და, სხვა მხარეს, სხვანაირათ, სხვის აღფერსში გადამდნარსა—

მეხსომები! უფრო მძლავრათ ეყვარები მგოსნის ქნარსა!

დღეს-კი მინდა გაგებუტო! გაგეცალო! გაგეყარო!

მეც მომწყინდა ერთფერობა, მეც მომწყინდა ეს სამყარო.

რა გატირებს! ეს სული ხო სამუდამოთ არ გშორდება?

საძაგელო! სიყვარული განა მუდამ მეორდება!?!

კისლოვოდსკი.

ი. გრიშაშვილი.

მ რ ი ს ტ ო .

(სოფლის ცხოვრებიდან).

სოფელ ნამკარალას შესავალში, სწორეთ იქ, სადაც პატარა მდინარე რუშავა სამხრეთისკენ უხვევს, მთავარი გზის მარცხნით, ერთ ახალ მოსახლეს შეამჩნევდით.

ხანგრძლივი ჩხუბისა და ლანძღვა გინების შემდეგ, დასრულებულიყო გაყოფილობა ერისტო ყვავაძესა და მის ძმებს შორის.

ახლათ დასახლებული ერისტო იქაურ გლეხთა შორის ყველაზე უფრო ღარიბათ ითვლებოდა.

მთელი მისი ავლა-დიდება იყო: დაფერდებულ, ქვეყრიან პატარა ეზოში აგებული წნელის ფაცხა, ერთი პატარა სასიმიდე და სამიოდე ქვევა მქლე, მოუსავლიანი ადგილი.

არაერთი ოთხფეხი ცხოველი არ ყავდა ერისტოს, ეზოში მხოლოდ ორი-სამი ქათამი დაბანდალობდა.

ხარების უყოლობისა გამო, მხრით უხებოდა შეშისა და სხვა მრავალგვარი ტვირთის ზიდვა. ყანების თესვის დროს-კი, ორი სამი დღე უნდა ემუშავებია რომელიმე თავის მეზობელთან, რომ ერთი დღით ეშოვა კავ-სახნისი.

ფული არსაიდან არ შემოდირდა და მიცვალეზულზე გადასახურავათ საქირო მანათი, ან ათი შალურისთვის დღიურათ უნდა გაქირავებულიყო.

თოხით მუშაობა ჩინებული იცოდა, საერთოდ, გვარიანი მუშა იყო, დღე ღამე არ ეძინა. მარა მაინც ვერაფერს ხთებოდა.

სათესი ადგილების სიმცირისა გამო, დიდი იქნებოდა, რომ სამი-ოთხი თვის სარჩო მოეწია და, შემდეგ-კი, სიმიდი საყიდლათ უხთებოდა.

თუთხმეტ თუმნამდი ვალიც ქონდა ერისტოს.

ოთხფეხი საქონლისა და ბლომით ქათმების უყოლობის მიზეზათ ერისტოს ცოლი დესპინე უსიმილობას ასახელებდა. სამი თვის სარჩოსაც ვერ ვიწვევთ და რაფერ უნდა გამოზარდო კაცმა საქონელი! ღორია, ინდაური, ბატი, თუ ქათამი, ყველაფერს სიმიდი უნდა,

ისტე რაფერ გაიხდებოა, ამბობდა იგი.

ერთ საღამოს ძალიან დაღლილი დაბრუნდა ერისტო სამუშაოდან, და მოწყვეტილი ვით, ხენეშით დაეშვა ფაცხის აივანზე მდგომ პატარა საფეხა სკამზე.

— საქმელი არაფელი ვაქ? კითხა მან ცოლს, ცოტა ხნის დასვენების შემდეგ.

— ჭადი ქე გავაკეთე, მარა საქამალი არაფელი არაა, ძაღესა და პრასს მოგიტან, თუ მიაქუშ.

— მეიტანე, რაცხა იქნება. ვოხრახუშსაც, თუ მოაყოლე კარგს იზამ. ვაი, საყვარელო, ნეტეი იმას, ვისაც კაი საქმელი აქ; ამისთანა ცხოვრება, რა ცხოვრებაა, დღე და ღამე უნდა იტანჯო და საქმელსაც ვერ შოულობ რიგიანს! უსაქამალობამ მაინც სულ გააქვირა საქმე, ცოტა ხანს იქით აღარც ხმელა ჭადი იქნება და უნდა ეძრო, მერე!.. კიდევ კარქი, რომ ორი ბოვშის მეტი არა გვყავს, თვარა, ვინ გოუძლებდა მის შენახვას.

— ემ!.. რა გვეშეულება, არ ვიცო, ღმერთმანი, ამდენ დარდს რაფერ უნდა გოუძლოს კაცმა, აგერ-აგერ ვადევირევი, ისთე ვარ! — ამოიხვნეშა დესპინემ.

— მეტი გზა არაა, უნდა წეყიდე საღმე ფულის საშონელათ, — განაგრძო ერისტომ. — აბა, აქანე ფოხილით ვერაფერს გავხთი და რა უნდა ვქნა! დღე და ღამე ერთი მაქ და ჭადსაც ველარ ვიწვევ საყოფს! ხარები ჩვენ არ გვყავს და არაფელი; მოთხოვნილება ოჯახს დიდი აქვს, რამდონი რა გინდა კაცს: ეს გადასახურავიო, ეს შესაწევო, ადგილის ბაჟი, დედლის დრამა, მწერლის შესანახი ფული; ახლა ტანი გინდა, ფეხი გინდა და რამდონი რა, ვინ იცის!.. რაფერ უნდა გაახწორო ამდონი ხარჯები?!

— შორს რომ წახვიდე, ჩვენ რაფერ ვიქნებით აქანე! ახლოს რომ იშოვიდე სამე სამუშევერს კარქი იქნება, ხანდახან მოგვაკითხავ და ამბავს გვიგებ; ყანებს ქე გაცემს კაცი, თუ სანახევროთ არა, სამესამედოთ მაინც ეილებენ, ეგება, ვალი გვეისტუმროთ ცოტა მაინც, აბა-ზიან ფულს რაფერ გოუძლებთ ჩვენ, აგვიწერს ი კაცი საცხოვრებელს!..

— ლაფრენტია, ლაფრენტია! — იძახდა ვი-
ლაც ჭიშკართან.

— ჩუ! ვიცხაა, გონია! — გააწყვეტია ერი-
სტომ.

— აქანე იძახი ვინმე?

— ერთი მნახე, შენი ჭირიმე, აქით, მნა-
ხე! მოისმა ხმა.

— ვინ ეშმაკია აწი, ამ ღამეში, ჩაილა-
პარაკა ერისტომ და წავიდა ჭიშკრისკენ.

— რომელი ხარ?

— ერისტო ბძანდები?

— გახლავარ.

— შე დომენტიე ვარ და კნიაზ პავლემ
შამოგითვალა, ერთი წუთით მნახეო.

— ძალიან კარკი, გიახლებითქვა, მოახ-
სენე.

— ვინ იყო, მიამხა დესპინემ.

— კნიაზს უხმეფარ.

— რა უნდა აწი!

— რა ვიცი!

ერისტომ წაიკრა თავი დაგლეჯილი ჩა-
ბალახით, გაიწყო ყალიონი, დაადო ზეთ
დევლოდან გამოღებული პატარა ნაკვერჩხა-
ლი, ორჯერ-სამჯერ გააბოლა, შემდეგ გა-
აფურთხა, გადისვა მუჭი უღვაშებზე, აიღო
ხელში საბიჯგელა ჯოხი და წავიდა „კნიაზისას“.

საშუალო ტანის, შავგერმანი, თუმცაღა
ახალგაზღობას უკვე გადასული, მარა ტანმთე-
ლი აგებულობის მქონე თავადი პავლე ერაძე
ჩამოსიძებული იყო იქაურ აზნაურის ქალზე და
ცხოვრობდა ერისტოს სახლიდან ნახევარი
ვერსტის მანძილზე.

ოდესღაც საკმაო შეძლების მქონე და
სუფთა ცხოვრების ნაწვევი თავადი დიდ გაჭო-
რებას განიცდიდა სიღარიბისგან.

თუმცაღა იმდენი ადგილ-მამული-კი ქონ-
და, რო საყოფი სარჩო მოეცა, მარა, რად-
განც თავთ ერცხვინებოდა მუშაობა და ყანე-
ბი გლახებზე ქონდა მიცემული, დიდი იქნე-
ბოდა, რო ნახევარი წლის საყოფი სიმდი
მოსვლოდა. არავითარი ფულის შამოსავალი
წყარო არ ქონდა და ოჯახის წვრილმან მოთ-
ხოვნილებათა დასაკმაყოფილებლადაც ადგილი
უნდა გაეყიდა. ამის გამო, მუდმივი უსიამოვ-

ნება ქონდა ცოლთან. მისი მეუღლე, ტასია
ბესარიონ იმანაძის ასული, ქალიშვილობაშიაც
ძალიან ანჩხლი, შეუთვისებელი ხასიათის იყო.
მარა, გათხოვების შემდეგ, თლად გადააქარბა.
„კნინა“ ვარო და არავის არაფრათ აღარ
ავდებდა. ქმარი მინც სულ აზუხათ ყავდა აგ-
დებული, დღე არ გავიდოდა, რომ ორჯერ-
სამჯერ არ გავლანძღა და არ ეწოდებოდა მის-
თვის არამზადა, სამადლოთ სარჩენი და სხვა...

ასეთი პირობების გამო, შეუძლებელი გამ-
ხთარიყო პავლესთვის სახლში დარჩენა; გადა-
ეწყვიტა მას ფულის საშოვნელათ ქალაქში
წასვლა და ცოლშვილისთვის მოჯამაგირის და-
ტოვება.

— კნიაზს სიცოცხლე და კარგათ ყოფ-
ნა! — მოწიწებით დაუკრა თავი ერისტომ.

— გაგიმარჯოს ღმერთმა, ერისტო ჩემო,
რაზე დაგიბარე, იცი?

— მიბძანეთ, ჩემო ბატონო.

— შე თფილისს მივდივარ, სამსახურში
ვდგები იქ, ხუთი თუმანი მექნება თვეში ჯა-
მაგირი და შენ, თუ დრო გექნება, დამიდეკი
მოჯამაგირეთ. ახლოს იქნები შენ ოჯახთან,
შენთვისაც კარკია, ღარიბი კაცი ხარ და პა-
ტარა ხელს მეთფობ; სახლში რო გაჩერდე,
რა ხეირს ნახავ, აჰა; შენ კარკი მეშა ხარ
და მისთვის დაგიბარე, თვარა მოჯამაგირის
მეტს, რას ვიშოვი. სხვას ისევ შენ მიჩვენე-
ხარ, თუ ბევრს არ ითხოვ.

— კი, ბატონო, მეც ვფიქრობდი სადმე
წასვლას, ფულის საშოვრათ; პეტერე ვალები
მაქ, სახლშიაც ძალიანი მოუწყობელი ვარ,
ხარები არ მყავს და არაფელი და ამიტომ გა-
დავწყვიტე წავალ სადმე თქვა; თქვენ, თუ-კი
გენებებათ, ჩემთვის უფრო კარკია: სახლზე
ახლოს ვიქნები და ხანდახან ცოლშვილის ამ-
ბავს გევიგებ.

— რავა დადგები?

— თუთხმეტი თუმანი ქე ველირები, ბა-
ტონო, ჩემი ტანი და ფეხით.

— თუთხმეტი არა და თორმეტ თუმანს-კი
მოგცემ, თუ რიგიანათ იმუშავებ.

— ცოდვა ვიქნები, კნიაზო.

— არაფელი ცოდვა არ იქნები.

ბერი ივაქრეს და, ბოლოს, გარიგდენ ცამეტ თუმნათ და წყილ ქალამნათ.

ფული სამ ნაწილათ უნდა მიეღო ერისტოს.

— მაღლობა ღმერთს, ეგება პეტრე მაინც მოვალე ვალებს და ბოვშები არ დაგვებოკოს უჭადობით. აქანე მუშაობით მე ვერაფერს გავხთი და ისევე ასთე ჯობია. ხუთი თუმნის სიმინი რო ვიყილოთ, ქე გვეყოფა წლიდან წლამდე; რვა თუმანი კიდე დამრჩება და, სამი თუმანი რო ოჯახის წვრილმან ხარჯებს დაჭირდეს, ხუთი თუმანი მაინც რჩება ვალების გასასტუმრებლათ! ეუბნებოდა გახარებული ერისტო დესპინეს.

— ძალიანი კი საქმეა, ძილიანი. ეგება, მეციხოთ პეტრე რამე, შეუღდექი ხვალვე მუშაობას და მე მოვეუღლი აქანე ოჯახს, ნუ გემინია შენ.

აღიონზე ვაეშურა ერისტო პავლესას. „ქნაზი“ მიუძღვა მას სამუშევრზე და თან უთხრა: შენ იცი და შენმა კაცობამ, ერთგულათ მოეკიდე საქმეს და ჯამაგირს არ დაგაჯერებ, „ნაგრადსაც“ მოგცემ კილა.

(შემდეგი იქნება.)

ქ. — შორელი.

უცნაური ღარი.

ეს ის ღარი არ გეგონათ, რომლის ბოლოებზე რამდენათ მძიმე ქვებს, ან და როდინის ნაჭრებს მოაბამთ, იმდენათ უფრო ძალიან დაიჭინება, ან გაწყდება, თუ არა და აიჩონჩხლება. არა. ეს ღარი სულ სხვა არის. იგი ქსელის ძაფზე უწვრილესია, რომელსაც სუბუქიცა ჰქვამს და მძიმეც ვერა წვეტს. ეს გახლავთ სიამე. კაცის სულიერ ცხოვრებაში სიამე ისეთი თავისებური მოვლენაა, რომლის წინაშეც მწერიც და ბუმბერაზიც ბადალნი არიან, ოღონდ ეს ორი არსება სიამეს ნირს არ შეუცვლიდენ. სიამე უფრო შორს მიდის. სიკვდილს ოპიუმის ემბაზში ნათლავს, ომის სახით, მრავალ მკვლევლობას გამარჯვებით ქარგავს და მასში ითბუნებს. სიამე არ გეგონათ, ისე რამანიჩი, რახან პრაპორჩიკათ არის ნამყოფი, ისეთივე წნელებით არ იყოს დაწული,

როგორითაც სხვა ყველა მომავლადი. ამასაც საკუთარი სიამე აქვს. რაფუოთ, რო 60 წლის მოხუცია. სიამეც, ხო არ ბერდება? ისე რამანიჩი სახელმწიფოს ერთერთ დაწესებულების კანცელარიაში ვადამწერათ არის. თვეში 25 მანათი აქვს ოციდან ოცამდე მას და მის ბებრუხუნა ცოლს თავდათავ ყოფნით...

კვირა ღღეა. ეს არის ცოლ-ქმარმა ჩაი მიირთვეს, აივანზე გამოვიდენ და მაისის დილის მზის სხივებს, ჩამშრალ თვლებს უჩვენებდენ. თითქოს ისე რამანიჩს უცბათ რალაცამ წამოუარა, ან და საქონელზე რო იტყვიან, თვლი ეცაო. სწორეთ ისე რამანიჩის საქციელი ამ ცრუმორწმუნობას ამართლებდა. აივანზე მშვიდათ გამოვიდა, ახლა ციბრუტით დატრიალდა, აღვლევებულმა ფურთხება და გინება დაიწყო. ასე უცბათ, რა დაემართა? ცოლი, თუმცა შეჩვეული იყო ქმრის ფხუკიანობას, მარა ღღეს მაინც სულ უცნაური იყო ისე რამანიჩის საქციელი.

— რა დავემართა, კაცო, რა იყო?

— შენ ბერი გესმის. როგორ, თუ რა იყო. აბა, უყურე გერმანელები რასა სჩადიან... თურმე, ჰაერს სწამლავენ, ჩვენ ჯარს სუნთქვას უკრავენ, შხაპვენ. ამჩაირათ უნდათ იმ გიანურებს, ომი მოიგონ... განა ეს მოსათმენია... ჰა? ახ, რატომ ჯიელი არა ვარ, მე იმათ... ვაჩვენებდი... თითქოს ამ სიტყვების თქმით მის დაფხვილ ფეხებს სისწრაფეც ემატებოდა, აივანზე ბოლთის დროს.

— როგორც უჯობთ, ისე იქცევიან. აბა, ერთი, თუ ღმერთი გიყვარს, შენ რისთვის იმღვრე გულს?

— როგორ, თუ უჯობთ, თმა გძელავ!.. ომი თოფზარბაზნებით თქმული დავაგონილა და არა რალაცა გახებით დამაზებია!..

— ერთი მითხარი, მტერს რითაც მოერევი, სულ ერთი არარის, კაცო!

— გამოტყინებულო, მორევაზე კიარა, ომის წესა და აღათზე გელაპარაკები... ახირებული ვილაცა ხარ... შენ შენი უნდა გაიყვანო მუდამ... ჰო, დაიცა, დაიცა... ისე რამანიჩმა თავზე მუშტები მიიჭირა, თითქოს ცდილობდა დავიწყებული თავიდან გამოეწურა, ერთ აღ-

გილას... აი... აი, მოვიგონე... ვახსოვს, ჩვენ მოჯამაგირეს, თურმე, ტყეში მგლებმა რო მოასწრეს და მთელი ღამე ხეზე მიკრულს გაეთენებინა... მგლებს პირდაღმა რო ხის ძირზე უკანა ფეხები მიებჯინათ და ჰაერს ბილწავდენ, რაარის საწყალობელი ბიჭი ხიდან ჩამოვედლოთ და შეესანსლათ... სწორეთ გერმანელების საქციელიც ასეთი ვახლავს... დიახ, თუ უკაცრავათ არ ვიქნები, გერმანელები მართლაც რო მგლები ყოფილან... მგლები მეთქი!.. აბა, ერთი ამის საწინააღმდეგოს, რას იტყვი?

იასე რამანიჩმა დონიჯი შემოიყარა და სრული კმაყოფილი თვისი ქვერმეტყველებით ცოლს გადმობრუნებული თვალები ფართეთ მიანათა...

— მე შენი ლაბარაკის თავი არა მაქვს, ამ სიტყვების შემდეგ, იასე რამანიჩის ცოლი აივნიდან ოთახში შევიდა და ნერვების დასამშვიდებლათ ტახტზე წამოწვა...

იასე რამანიჩმა თუთუნის გააბოლა და ფანჯრიდან თავის ბებრუხანას შესძახა: „არა, მამაგიცხონდება, ომზე რო შემისპორდი, ალვახანს გაქმევედი, თუ ინდის ხურმას, ჰა“?

— დამანებე თავი, თუ ღმერთი გწამს! გაჯავრებით გამოსძახა ცოლმა...

— ჰოდა, ეგრე... აღარ ამიხირდე... იასე რამანიჩმა გული მოიოხა და აივანზე ბოლთა განაგრძო... იასე რამანიჩის ცოლს ქერიდან პირისახეზე ბალღინჯო *) დაეცა, ალბათ, ძველი სისხლით დაჟურჩებულ პაწია ბუმტის ამოსავსებათ. იგი ფიცხლავ ზეზე წამოვარდა, ბალღინჯო იქვე აწამა და მაშინ მოაგონდა ის, რის მოგონებასაც კარგა ხანია ცდილობდა... ოთახში რაღაცას ძებნა დაუწყა... მაგიდას წინ დაიხარა, წუმწუმის ნამწვეს ხელი წაატანა და შპალიერ გაკრულ კედლებს მიადგა...

იასე რამანიჩი მოუთმენლათ ვილასაც ელოდა. ერთხანათ სივრცეს რო მიაჩერდებოდა, მერე, ისევე მობრუნდებოდა და ზუსტუნით უკან ხელებ დაწყობილი აივანზე დაფაჩფატებდა... მოისმა ხმა: „დილის დეპეშები. მტრის

განადგურება“. იასე რამანიჩმა კისერი დაიგძელა, აივნიდან დირეს თავი დააშორა... ბიჭო... ბიჭო... აქით, აქით... ხელის ქნევით უძახდა. თვალის დახამამებზე ბიჭმა დეპეშა ამოურბენა, შაურს როცა აძლევდა, გულმა მაინც წასძლია და ბიჭს კითხა: შიგ კარგი ამბები წერია? დიახ, ბატონო, მტრის განადგურება! ბიჭი სწრაფათ მოტრიალდა და კვლავ ქუჩაზე გაისმოდა: „დილის დეპეშები, მტრის განადგურება“... ვნახო ერთი, ვნახო!.. იასე რამანიჩი, თითქოს ვიღაცას ემუქრებოდა... ტუტურკის ჯიბიდან სათვალეები ამოიძრო და სკამს მიატანა... სკამზე ჩამოჯდა, დეპეშა გაშალა და დაბეჭდილ ომის ამბებს ოთხი თვალით დაეწაფა... იასე რამანიჩის ცოლს გასისხლიანებული წუმწუმის ნამწვი გასტეხოდა და მეორეს ეძებდა... მეორეც იპოვნა და თვისი საქმე განაგრძო... ოთახიდან, კედლის საათის რაკურუკით, ჰე—ჰე გამოისმოდა... იასე რამანიჩი წარამართ თავისთვის ბუზღუნებდა და ხანგამოშვებით გაცხელებულივით ჰე-ს გაიძახოდა... აბა, უყურე, ადამიანო, რა ამბავია! ჩვენებს რამდენი გაუჟღერიათ... არ გესმის!? ჰე... ასი... ჰე... ათასი... ჰე. ახლაც იტყვი!

— მე შენთვის არა მცალია. ჰე, ახლაც მიკებნთ! ჰე! ჰე!..

ამ ჟამათ ამათ აკავშირებდა გულიდან ამოძახილი საერთო ჰე. ცოლქმარს შორის სიამის ლარი ერთი ძალით იყო დაქიმული, მიუხედავათ იმისა, რო კედლების ნაჩერტებში კაცის რაღაცა შემაწუხებელი მწერები წუმწუმის ნამწვის საშვალეებით ისრისებოდენ და იქ ბძოლის ველის თხრილებში დეპეშის ვადმოცემით, რომელსაც იასე რამანიჩი ასე მაგრა ჩასკიდებოდა... თოფზარბაზნების საშვალეებით კაცები—ეს ბუნების გვირგვინოსანნი, სიცოცხლეს ესალმებოდენ... ამის შემდეგ, მოდი და სიამეს უცნაურ ლარს ნუ უწოდებ, რომელიც კაცსა და ბალღინჯოს შორის ერთნაირათ იქიება. საამო სხვერპლია იგივე ბალღინჯო!

ხან — ტარი.

*) იმერეთში კედლის-ტილას ეძახიან.

საღაებო წერილები.

(დასასრული *)

ტარიელს მეტად მოეწონა ნესტან დარეჯანის თათვირი და მტრებს დაექადა ხმლით დახოცვას. აღგა, პირნათლად შეუსრულა სატრფოს აღთქმა და ხვარაზმშაპ მოჰკლა.

ფარსადან მეფემ სამი დიდებული მოუგზავნა ტარიელსა. აუწყეს მეფის ბრძანება, ღმერთმა იცის, შვილივით აღზრდილი მყვანდი, ასე რად შესცვალე ჩემი სიხარული მწუხარებადო. ტარიელმა შეუთვალა, თვით იცით,

სელაშაფე

ჰსამს მქმნელი სამართლის.

მე თქვენმა მსემან მსოროს

ნდომს თქვენისა ქაღის.

იცი, ინდთა სმეფო

წახამი სრა საჯდომია.

ერთი და მე ვარ მემკვიდრე

ეველი თქვენ მოგხდომია,

ამოწედა მათიყველია,

მამული თქვენ დაგრომია.

სამართლად ტანტი უჩემოდ

ან ვისად მისახდომია.

ხვარაზმშაპ დაჰსვა ხელმწიფედ.

დამჩუბის რა ნაცვალაია?

სხვა შეფე დაჰდაეს ინდოეთს,

მურტყას მე ჩემი ხმალია?!

შენი ქალი ანად მინდა,

გათხოვე, განმარიდე,

ინდოეთი ჩემი არის,

არვის მიესტუმ ჩემგან კიდე.

ვინცა ჩემს დამეცილოს,

მისით მასცა აღმოვეფხვრიდე,

სხვად შეშუელს გარეგანსა,

მამკალ, კაცსა ვინატრიდე.

ეს ამონაწერი კარგად გვიმტკაცებს, რომ ნესტან დარეჯან და ტარიელ არ ყოფილან უბრალო მიჯნურნი, მარტო ხორცისა, თუ ნდომის სიყვარულ—გამქვალულნი ისე, როგორც ვისი და რამინ. მათ ამოქმედებდა იმ დროსვე მაღალი მოსაზრება, პატიოსანი სულთა-სწრაფ-

ვა: მათი ერთობით მათი სამშობლო და სამკვიდრო ინდოეთიც გაბედნიერდებოდა, ხოლო, თუ ქორწინება ჩაეშლებოდათ, მათ მამულს მოელოდა საშინელი უბედურება—სპარსთა ბატონობა და მათ მიერ ქვეყნის ქაჰა. განა, ამას შემდეგ, შეიძლება ითქვას ნესტან დარეჯან ქვეყნის ბედად? ან, რა მოსატანია აქ ქაჯთაგან მისი დატყვევება, რაიც, სულ შემთხვევით, შედეგად მოჰყვა მის უდიდეს, უმთავრეს მოქმედებას—ინდოეთის დახსნას სპარსთა ბატონობისაგან, რაიც თავს უნდა დასტყდომოდა. იგია მხსნელი ინდოეთისა, მისი ბედის მპოვნელი მით, რომ თავის მიჯნურს ტარიელს მოსთხოვა მოკვლა ხვარაზმშასი, რაიც მართალი სამართლის ქმნად მიანდა. ნესტან დარეჯან პოლიტიკური მოღვაწე ქალის ტიპია, რომელიც ჩვეულებრივ, როგორც ქალი, გულის ამყოლი არ არის და სიყვარულის გრძობას არ აბატონებს გონებაზე. თვით მოქმედებს, როგორც მაღალ მოაზრე, და თავის მიჯნურს ამოქმედებს ისე, როგორც მოითხოვს ყოველის უწინარეს მათი მამულის ბედნიერება.

რამდენად ნაოცნებარია ტიპი ნესტან დარეჯანისა? სხვა არა იყვის რა, ერთი მაინც შეიძლება ითქვას. შოთა რუსთველს, თუ ნახული არა, გაგონილი მაინც უნდა ჰქონოდეს ქართლის ცხოვრების, ამ გვარზე თითქმის ამბავი, რომელიც მოჰხდა თამარ მეფის დროს, ის, რაც მოჰყვა მის ქორწინებას გიორგი რუსთან. მხოლოდ სამწუხაროა, რომ პოეტის მიერ, ისეთი ხელოვნებით შექმნილი ტიპი ნესტან დარეჯანისა ჯეროვნად ჯერ კიდევ შეუსწავლელია, როგორც პოეტების, ისე კრიტიკოსების მიერ. ან კი, რა საჭიროა შესწავლა დახვედებული ცხოვრებისა! უკეთესი რომანები, ვიდრე ვეფხის ტყაოსანია, და უკეთესი ტიპები და უფრო სრული გმირები, ვიდრე ნესტან დარეჯან, ტარიელ, ასმათ, ავთანდილ და როსტევეანია, ხომ სხვაც ბევრი მოეპოება ახალ ქართულ მწერლობასა. ნესტან დარეჯანის ტიპის გამორკვევის ცდას წარმოადგენს სალიტერატურო განამართლება ამ საკვირველი გმირი ქალისა, გამართული წელს ტფ. ქართველთა თავად-აზნაურობის გიმნაზიის უფროსი ქლა.

*) იხ. „განთიადი“ № 11.

სების მოწაფეთა მიერ. ნაფიცმა მსაჯულებმა გამართლეს ნესტან დარეჯან.

* *

სარწმუნოებრივი მოტივი ქართულ პოეზიას ხშირად ჰქონია, მაგრამ მისი ხელოვნურად გამოყენება ყოველთვის არ სცოდნიათ პოეტებსა. ქართველ მეხოტბეთა იოანე შავთელსა და ჩახრუხას ვერ წარმოუდგენიათ ღმერთი, თუ არ სამეხთ, ბრძოლა, თუ არ ქრისტეს სადიდებლად, მართლ მადიდებლობის გასამარჯვებლად. რა საკვირველია, მაშინ დრო იყო ისეთი, როცა სარწმუნოებრივი გრძობა დიდი ფაქტორი იყო გვარტომობრიობის გასამტკიცებლად, როცა ერის ერთობას ხელს უწყობდა მის შვილთა სარწმუნოებრივი ერთობა. მაგრამ ასეთ დროსაც შეიძლებოდა, მოეცლოთ ამ მიმართულებისთვის ისე, რომ არა ქრისტიანი მკითხველისთვის საჩივრო არ ყოფილიყო ქართველი პოეტის ნაწარმოების თარგმანის წაკითხვა განსაკუთრებით იმად—ყულსა, რომელიც იქმნებოდა ღვთის საცნაურობის განმარტება. ღვთის ერთობა და იმ დროსვე მისი ხამ თბოვანება, თუ ადვილად შესაწყნარებელია მორწმუნე ქრისტიანეთაგან, სრულიად შეუწყნარებელია მოსესა და მუჰამადის რჯულის მართლმორწმუნეთაგან. ევფხის ტყაოსნის ხალხი მაჰმადიანია. მაგრამ მათი ღვთის დიდება და ვედრება ისეთია, რომ ყოველი მორწმუნე, რა რჯულისაც უნდა იყვეს, ერთნაირის სასოებით წაიკითხავს. შეიძლება სთქვან, რა კი ხალხი მაჰმადიანია, იმის გამო ავტორის სხვაფრივ არ შეეძლო მათი სარწმუნოებრივი გრძობის გამოხატვაო. დაუჯერებელია, რათვანაც ზოგჯერ შოთა რუსთველს მოუხსენებია კიდევ მაქა¹, მუსაფ², მუყრი³, და მულღი⁴, მაგრამ უმთავრესი რამ, ე. ი., ღვთის საცნაურობის განმარტება, ღვთის დიდება და ვედრება, საყოველთაო ხასიათის არის, ყველასთვის ერთნაირად გასაგებია. ავთანდილის ლოცვას ყოველი მორწმუნე კაცი მოაწერს ხელსა. შოთა რუს-

თველი დეისტია, დიდი ხელოვნია და როგორ ჩაიდნდა იოანე შავთელისა და ჩახრუხას შეცდომასა? თუ ჩახრუხა თვითვეა, უფრო განვითარებულა, ღმერთი მარტო ღმერთად უცნია, მხოლოდ ერთად აღუარებია.

დავით გურამიშვილის დროს საქართველოში თვით ქართველთა შორის მაჰმადიანობა საკმაოდ იყო გავრცელებული. მაშინდელ კალმისა და წიგნის ხალხს მართებდა ფაქტი ფაქტად ეცნოთ და მაჰმადიანი და ქრისტიანე ქართველობა დაეხლოვებინათ, საერთო მისწრაფება და იდეალი გაეჩინათ მათთვის, მაგრამ ამას ვერ მისწვდნენ და სულ იმის ცდაში იყვნენ მეტადრე ქართველთა აღორძინების მოთავენი, რომ ქართველობის ქრისტიანობა არ დაეგმო. მართლაც, ვინც მაჰმადიანი იყო, ის აღარ ქართველობდა, ზოგჯერ სამშობლოსაც გამოხდა. მაგრამ გამწვავება ურთიერთობისა სწორედ იმას მოჰყვა, რომ რაც მოხდა, ისლამის გაბატონება საქართველოს სამხრეთში, მისი შეწყნარება არ უნდოდათ და საქრისტიანო ნიადაგს აღარ სცილდებოდნენ. დავით გურამიშვილის პოეზიის სარწმუნოებრივი მხარე უფრო ხშირად ასეთია. შოთა რუსთველის გაკვალულ გზას ასცდა დიდი დავით! მის ჯვარცმის ამბავს და მღვთისმშობლის მოთქმას თუმცა დიდის ხელოვნებითა და გრძობით დაწერილს, მაშინდელი მაჰმადიანი ქართველობა არ წაიკითხავდა, ეხლა ხომ სულ არ წაიკითხავს. ჯერ კიდევ პოეტი მეფე თეიმურაზ პირველი, ავტორი ჩინებული ხოტბის „მაჯამისა“, სჩიოდა, სასულიერო რამ თუ დამეწერა, არავინ წაიკითხავდაო. თუ მეჩვიდმეტე საუკუნეში ქრისტიანე ქართველთა სულიერებრივი მდგომარეობა ასეთი იყო, მაჰმადიანი ქართველობა ხომ სულ უნდა ჩამოშორებოდა ქართულ სასულიერო მწერლობასა.

მაგრამ დავით გურამიშვილი, როგორც ვამტყუნო, როცა მეცხრამეტე საუკუნის ქართული პოეზიაც ასცდა, უგულვებელ ჰყო შოთას ანძერძი. მაშინაც ხომ რყევაში აღარ იყო ბედი ქართლისა და საქმე მორჩომილ-გათავებულიყო ისე, როგორც ჰნატრულობდნენ მეფენი ვახტანგ VI სჯულმდებელი, ერეკლე II

1) წმიდა ქალაქის სახელია, 2) ყურანი, 3, მოლა, 4, სჯულის მეცნიერი, ღვთისმეტყველი.

და გიორგი XIII. ორთავიანი არწივის მძლავრ ფრთეთა საფარველ ქვეშ, იმ მშვიდობიანობის დროს, ქართულ პოეზიასა და ღრამას არ უნდა ქონოდა განა ისეთი მიმართულება, რომ სამაჰმადიანო და საქრისტიანო საქართველო სულათ და გულთ შეერთებულობა, ერთობის გრძნობით დაკოწიწებულიყო? მაგრამ არა! დედა მღვთისა და ქრისტიანე წმიდანი იმდენია, რომ გვერდს ვერ აუქცევს მკითხველი. სასცენო პიესებიც ისეა გაჟღერებული მაჰმადიანთ სიძულვილით, რომ, მაგალითად, დელატის წარმოდგენაზე ბათუმში მაჰმადიან ქართველებს თეატრის დარბაზიც დაუტოვებიათ. ეს აშბავი მოთხრა ერთმა მოღვაწე მაჰმადიანმა ქართველმა, რომელსაც, შეუძლებელია, არ ვერწმუნო.

დროა, ქართული პოეზია და ღრამა, საერთოდ ქართული მწერლობა ისე, როგორც ვარკლი ასტამით, გაიფხიკოს და გაიწმინდოს ამ უჯერო მოტივისაგან, რაიც ისე ხელს უშლის სულის და გულის ერთობის გამტკიცებას მაჰმადიან და ქრისტიანე ქართველთა შორის.

პეტრე მირიანიშვილი.

მელოტობა ბადაზმარების ნიშანი.

თმა საუკეთესო ბუნებრივი სამკაულია ადამიანისთვის. ამიტომაცაა, რომ ისე ძლიერ ღონდება ადამიანი, როდესაც მას თმა ცვივდება.

ძველ საბერძნეთში, სადაც შვენეერების და სილამაზის კულტი ზომწერვალესათ იყო გაერთარებული, ღმერთების ქანდაკებანი ხუჭუქა თმებით იყო შემკული.

მარა, გარდა სილამაზისა, თმას კიდევ უფრო ღირი მნიშვნელობაც აქვს ადამიანის ტანთელლობისთვის.

თმა ფარავს თავის ქალას, სადაც მოთავსებულია ტვინი—ეს უდიდესი მნიშვნელობის ორგანო, სადაც მოგროვებულია ადამიანის მთელი სულიერი ძალ-ღონე. თმა სიცივეში იფარავს ტვინს სიცივისგან, ხოლო ზაფხულში კი—გადამეტებული სიცხისგან. ტვინი შესდგება ისეთი ნაზი უჯრედებისგან, რომ აუცილებ-

ლათ საჭიროა მათი მორიდება ყოველ გვარ მანე, დამაზარალებელ ვალებენსგან. და, აი, ასეთი ვალებენა, სხვათა შორის, სიცივე-სიცივეს აქვს ტვინის უჯრედებზე.

ჩვენდროში ფრიად იმატა მელოტ ადამიანთა რიცხვმა. ძლიერ ხშირათ შეხვდებით სულ ახალგაზდა ადამიანს, რომელსაც თითქმის აღარა აქვს თავზე თმა. რამდენათ უწინდელ დროში იშვიათი იყო, იმდენათ უფრო ხშირი შეიქმნა ეს სენი დღეს.

მელოტობას, უსათუოდ, კავშირი აქვს იმ ფიზიკურ გადაგვარებასთან, რომელსაც დღეს კულტურული ადამიანი განიცდის. ნაადრევი თმის დაცვენა, ნაადრევი ქალარა, სხეულის კანის დაქნობა—დანაოკება, თვალის ჩინის შესუსტება და ზოგიერთ ორგანოთა ნაადრევი შესუსტება ნიშნებია ფიზიკური გადაგვარებისა.

მაშასადამე, ნაადრევი გამელოტება არის ფიზიკური გადაგვარების ერთერთი ნიშანი. შესაძლებელია, სრულებით ტანთელ ადამიანსაც ნაადრევათ დასცინდეს თმა: ეს მაშინ, როდესაც ადამიანს ისეთი რამ სენი შეეყარა, რომელიც მთელ მის სხეულის ყველა უჯრედებს სწამლავს და ძალზე აძაბუნებს—ათაშანგი, ტიფი, ლოთობა... მელოტობა ხშირათ მემკვიდრობითაც გადადის. შენიშნულია, რომ ზოგიერთი გვარის წევრთ ნაადრევათ თმა ცვივდება და მელოტდებიან. მაშასადამე, ეს არის ამ გვარის ერთერთი გადაგვარების ნიშანი. უწინდელ დროში, როგორც ზემოთაც მოგახსენეთ, მელოტი ადამიანი ფრიად იშვიათი იყო.

უძველესი ბერძნების მწერალი ჰეროდოტე ერთ თავის თხზულებაში ამბობს, რომ ძველ ეგვიპტეში, რა იყო მელოტი ადამიანი არ იცოდნო. ეს იმიტომო, დაუმატებს ჰეროდოტე, რომ იმ დროში ეგვიპტელები ქუდს არ ატარებდენ და მუდამ თავშიშველა დადიოდნო.

ეს მე სიყმაწვილეში წამიკითხავს და დღეს, როდესაც ეს სიტყვები მომავონდა მე, მკურნალს, სრულ ქეშმარიტებას ვხედავ ჰეროდოტეს ახსნაში. ის, ვინც მუდამ წმინდა ჰაერზეა და თავმოხდილი დადის, ვის თმასაც მზის გა-

მაკოცხლებელი სხივები აშუქებენ, იმავე დროს სხივები სპობენ ყოველ გვარ მიკრობებს, ყოველგვარ ავთიმყოფობას, რაც ანადგურებს, ასუსტებს თმის ზრდას, ხელს უწყობენ ნორმალურ სისხლის მოძრაობას იმ მილებში, რომლებიც გარს ეხვევიან და კვებავენ თითოეულ თმის ღეროს ძირს.

ახლანდელ ფიზიკურათ გადაგვარებულ ადამიანს სულ მუდამ ვაცივების ემინია, მუდამ თავს ქული ბურავს. მაშასადამე, თმები მოკლებულია მზის სხივებს, ქუდ ქვეშ სულ მუდამ ოფლიანი, დახშული ჰაერი, რაც, რასაკვირველია, ერთი მხრით, აჩენს სხვადასხვა გვარ ავთიმყოფობას თმასს, ხოლო, მეორე მხრით, ირღვევა ნორმალური სისხლის მიმოსვლა თმის მილებში. თმას უჩდება ავთიმყოფობა და ცვივა.

რამდენათ დაძაბუნებულია, გადაგვარებულია სხეული, იმდენათ უფრო მეტი მანეჟი, კიდევ უფრო მეტი დამაძაბუნებელი ჩვეულება ემატება.

ჩვენი ფიზიკურათ ტანთელი წინა პრები ტყვილათ-კი არ ატარებდენ ფაფანაკს, მათი ვითომ და გავეროპლებული ჩამომავლობა ქულებში თავს იხიობს...

თუ ეს არა ნორმალური, ბუნებასთან და შორებული ცხოვრება კიდევ განაგრძო ადამიანმა, კიდევ ისეთი ნაბიჯით წინ გასწია ადამიანის ფიზიკურმა გადაგვარებამ, მოსალოდნელია, რომ ისეთი ადამიანის ტიპი შეიქნეს, რომელსაც შიშველ-ტიტველი, თავმოტლებილი თავი ექნება.

საუკეთესო მინუში ფიზიკური გადაგვარებისა ჩვენი მოკავშირე საფრანგეთის ხალხია. ისე სავსებით არსად ხალხს არ ეტყობა ფიზიკური გადაგვარება, როგორც ახლანდელ ფრანგს. დაბადებულთა რიცხვმა გასაოკრათ იკლო. ის-კი, ვინც იბადება, უმეტესობა ფიზიკურათ დეგენერატია. ამიტომაცაა, რომ ფრანგები ამ ახლანდელ ომის დროს, რამდენიმე დღე, როგორც-კი დაყოფენ ცივ ნოტიო თხრილებში — ტრანშეებში — ზოგს პლევიტი, ზოგს ანთება და სხვა ავთიმყოფობა უჩდებათ. არსათ არ არის იმდენი მელიოტი ხალხი, რომ

გორც ფრანგები, რაც, რასაკვირველია, კიდევ უფრო მოწმობს, რომ ეს სენი გადაგვარების ნიშანია.

ასას წინათ ინგლისელი მეცნიერი Parkes შეეცადა, აეხსნა მიზეზი, თუ რათ სცვივა ადამიანს თმა უღროთ. ამ მეცნიერის აზრით, ადამიანი იწამლება ერთგვარი ნივთიერებით, რომელიც წარმოდგება ფილტვებში ამოუსუნთქებლათ დარჩენილ ჰაერისგან. ხოლო ეს მანეჟი ნივთიერება ფილტვების ბუშტებიდან გადადის სისხლის მილებში და, აი, ეს არის, მისი აზრით, მიზეზი, რომ ადამიანს ცვივა უღროთ თმა.

როდესაც ადამიანი ნაკლებ მოძრაობაშია, მუდმივ ზის ერთ ადგილას თავ-ჩადუნული, მაშინ ასეთ ადამიანს მკერდის ბოცვის და მასთან ფილტვების მოძრაობა უსუსტდება. უსუსტდება მეტადრე ამოსუნთქვა და ამიტომ მუდამ რჩება ნაწილი წამხდარ ჰაერისა, რომელიც ადამიანს უნდა ამოესუნთქა. ამ ფილტვებში დარჩენილ ჰაერიდან ჩდება მომწამლავი ნივთიერება, რომელიც გადადის სისხლში და აყრვეინებს თმას.

ეს თეორია, სხვათა შორის, იმას მოწმობს, რომ თმის ცვენა დამოკიდებულია სხეულის დაძაბუნებაზე და უჯრედების მოწამლავაზე. ბევრი, რასაკვირველია, არ იზიარებს ამგვარ აზრსანს მეცნიერ Parkes-ისა.

მიაჩივთ ბავშვები თავ-შიშველა, ფეხშიშველა სიარულს, გაამაგრეთ სხეული, ებრძოლეთ ფიზიკურ გადაგვარებას ბავშვში თანდაყოლილს, თორე, რომ გაიხდება საკოდავი რამ არსება შეიქნება. სიკოცხლე — ეს უდიდესი ბედნიერება შეიქნა მისთვის მძიმე ტვირთი, მთელი მისი სიკოცხლე გავა ოხვრა-ტანჯვაში და ბარგათ გადაიქცა, როგორც საზოგადოებისთვის, ისე თავისთვისაც. სიკოცხლე მხოლოთ მაშინაა ბედნიერება, როდესაც ადამიანი ტან-მთელია, ძლიერია, ავთიმყოფისთვის-კი გოდება. ხო ხედავთ, თუ რა დავგანახვა ამ საშინელმა ომმა: განათლებამ და კულტურამ ადამიანი ფიზიკურათ გადაგვარა, ხოლო მხეცური ინსტიტუტები, სისხლის წყურვილი, კაცი-ჰამიობა, უღმობელობა-კი ვერ აღმოფხვრა, ისევე დარ-

ჩა ჩვენში, როგორც იყო ჩვენ მამა-პაპებში, როდესაც იგინი ტყე-ღრეში შიშველ-ტიტველი დაწანწალვდნ.

ექიმი ბადრიძე.

პ რ ი ტ ი კ ა

ილია ჭავჭავაძე, როგორც ღირსი-პოეტო. (27 ღვინობ. 1837--30 გვ. 1907 წ.)

ნეტა, ვინც კარგი საქმით აღნიშნავს თავის დროსა, ის იქვე ეწაფება უკვდავების წყაროსა!..

ილ. ჭავჭავაძე.

ასე წარბ-შეკრული და ძლიერი იერიშებით მიდიოდა ჯერ კიდევ სრულიათ ახალგაზდა, ჭაბუკი ილია ნივთიერათ უღონიერეს, ქედ-მალალს ფეოდალებისა და გენერლების წინააღმდეგ საჯაროთ მწერლობასა და საზოგადო კრებებზედაც.

ამასთანავე ილია, როგორც სამოციანი წლების ლიბერალთა მეთაური, გარდა იმისა, რომ ამბობდა და იბრძოდა: უმე მიწიანათ უნდა გათავისუფლდესო, მას ღრმით შესისხლ-ხორცებულიც ქონდა, რომ სწავლა-განათლებაც უნდა ყოფილიყო საყოველთაო და უწოდებრივო. იმის ღრმა რწმუნითა და აზრით ეკლესია, სწავლა-განათლება და მკურნალობა სრულიათ უსასყიდლო უნდა იყეს. დიმიტრი პოსარევის თანახმით, იგი რეალური განათლების დიდი მოტრფილვე იყო და ქართველთათვის სამეურნო ხასიათის განათლებას აძლევდა უპირატესობას.

თუ, რა მაღალი ზნეობის და ღრმა დემოკრატიზმის მატარებელი იყო ილია, ეს ჩანს მისი საკუთარი წერილიდან, რომელიც მიუწერია ილიას თავისი ნათესავისა და მოურავისთვის 1875 წ. სოფ. ყვარელში:

„ძალიან მეწყინა შენი უკანასკნელი წიგნი. მაგ შენს მეზვრესთან მორიგებას და ბათილამის ჩამორთმევას ფინთი სუნე უდის და სადაგელი ფერი აქვს. თუ ღმერთი გწამს, ეს ანდერძათ გქონდეს ჩემგან: არა საქმეში უზნეობა, უბატონება არ გაუროო. გახსოვდეს ყო-

ველთვის, რომ ქვეყანაზე, ქალაქის გარდა, არის კიდევ სინიღისი, რომელზედაც იწერება პირობა იმ სიმკვიდრით და სიმტკიცით, რომ არავითარი ძალა არ ამოშლის და არ გააუქმებს. ადამიანთა შორის ურთი-ერთობის დამყარება უზნეობაზე შეუძლებელია. ზნეობრივ პრინციპების დარღვევით გაკეთებული საქმე სახიერო არა დროს არ იქნება არავისთვის. მუდამ გახსოვდეს, არ არსებობს უფლება უმოვალეობით. ხოლო მოვალეობა სწორეთ ის არის, პატივი ვცეთ და დავიცვათ კიდევ სხვისი უფლება, არამც თუ დავარღვიოთ. ისე გათავება-კი საქმისა მებაღეებთან, როგორც შენ გავითავებია, არას დროს ზნეობითა და სინიღისით მოწონებული ვერ იქნება. მაშასადამე, ვერც მე მოვიწონებ. საქმე ის-კი არ არის, რომ ხელ-წერილი ჩამოართვი და კანონისგან ხელშეკრული გამხადე და თან-კი დავაიწყდა, რომ არის კიდევ სინიღისი, რომლის ბძანება მაღლა დგას სამოქალაქო კანონების ბძანებაზე. მაშ, ასე. ვიდრე ბიჭია და მისნი ამხანაგნი პატიოსნათ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, მე სინიღისი ნებას არ მომცემს დავარღვიო იმათი უფლება. ამას ყოველსავე იმიტო გწერ, რომ მე ჩემს მოქმედებაში კანონის ნებართვას-კი არ ვიმძღვანებ წინ, სინიღისის ბძანებას ვასრულებ ხოლმე. ამის გამო, ვენახის ჩამორთმევაზე მე თანახმა არა ვარ, ვიდრე არ დამაჯერებ, რომ ბიჭია და მისი კამპანია პირობას არ ასრულებენ. ბიჭიამ თითონ გამომიცხადა, გაღავანის ვენახის კეთება ჩვენ ხელს არ გვაძლევსო. რადგანც მაგ ვენახის კეთება ბიჭიას არ უნდა, უნდა ეკითხოს ტერენტისაც და, თუ ისიც არ ინდომებს, მაშინ შენ ვააკეთე. დიდიზვარი-კი, მინამ სურვილი აქვთ ბიჭიას და ტერენტის (უსათუთო ორივეს) და მინამ თავისას ასრულებენ, იმ დრომდო მავათს უფლებას მე ვერ შევუბები“.

ეს წერილი სულ ერთიანათ აშკარავეს ილიას ღრმა და სპეტაკს არსებას და ჩვენ ვერაფერსაც ვერ მივუმატებთ მას აქ.

რუსეთის მაშინდელი საუკეთესო ჟურნალიც „СОВРЕМЕННИКЪ“-ი და იმისი შესანიშნავი ეკონომისტი ნიკ. გ. ჩერნიშევსკი, რომელსაც

სტუდენტი ილია დაახლოვებით ეცნობდა და იმ წრეში მხურვალე მონაწილეობას იღებდა, რომელსაც მეთაურობდა ჩერნიშევსკი, როგორც ეს ჩემთვისა და ნიკო თად. ხიზანაშვილისთვის უთქვამს განსვენებულს, იმას ქადაგებდა მუდამ ხმა მაღლა, როცა უმა მაწიანათ უნდა გათავისუფლდეს. ჩვენი ილიაც ამ აზრს ემსახურებოდა და იმისთვის იბძოდა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

როგორც ხედავთ, 60-იანი წლების ერთი საუკეთესო, უწარჩინებულესი ქართველი ლიბერალი, ნ. ჩერნიშევსკის თანახმად, ერთი გულ-მხურვალე, გულწრფელი უანგარო მოტრფილად იყო სოფლის მშრომელი მესაკუთრებისა, მართა ამ შესაკუთრეთა კეთილ-დღეობის და ინტერესებისთვის ყოფიდა უზარს შრომის, ასე წოდებულს, ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ გათავისუფლებას. 1) ამ მხრივ ევროპის დასავლეთის გამოჩენილ ლიბერალთა შეხედულებებისგან სრულიათ გასხვავდებოდა ილია ქავჭავაძის ეკონომიური შეხედულობა...

საქართველოში, ყმების გათავისუფლების შემდეგ, დაიწყო სრულიათ ახალი ცხოვრება, რომელიც, მიუცილებლათ, თხოულობდა ახალს წარმომადგენლებს შრომისასაც, ახალი ბურჟუაზიისასაც...

ილია ქავჭავაძე დაადგა სოფლის მესაკუთრეთა შრომის ინტერესების სიმსხურს და თავად აარიდა ახალ აღებ-მიცემობის განმტკიცების საქმეს ჩვენში. აი, აქ იწყება ჩვენს შორის დიდი წინააღმდეგობა და მე ილიას ყოველთვის ვეკამათებოდი...

ფილოსოფიურათ როცა გავსაჯოთ და საქმე განვსკვრიტოთ საზოგადო-ეკონომიური ევოლუციის თვალსაზრისით, ნ. ჩერნიშევსკის, გერცენის და ილია ქავჭავაძის შეხედულობა ამ მხრივ ძალიან დიდი შეცდომა იყო... მარა იმ დროს ეს ორი დიდი ფაქტორი—შრომა და კაპიტალი რუსეთსა და ჩვენში თავიანთ საისტორიო კუთვნილს ასპარეზზე არ დამდგარიყო და არ განცალკევებულიყო მთელისთვის სიღრმესიგანით და მღვლვარე შინაარსით. ამიტომაც, ახალგაზდა ლიბერალების, ნ. ჩერნიშევსკისა და ილია ქავჭავაძის მოძღვრება და ქადაგება

1) ამას ქადაგებდა გერცენი.

იყო მეტათ წარმტაცი. და აკი ამ მოძღვრებამ წარიტაცა რუსეთში მთელი ინტელიგენცია „ნაროდნიკებისა“ და ჩვენშიაც მთელი თაობა „ტეტიათა მოტრფილეთა“...

სამაგიეროთ, ჩვენში გამოჩენილი ლიბერალი, ილია ქავჭავაძე შურით შეკუთრებდა საკონსტიტუციო და საპარლამენტო ასპარეზს ევროპის ხმელეთზე და, განსაკუთრებით, ინგლისში (ილია გულწრფელი ანგლომანი იყო) და ყოველთვის აღტაცებით იხსენიებდა პოლიტიკურს, საზოგადოებრივ თავისუფლებას „ივერიის“ მეთაურს წერილებშიაც და კერძო საუბარშიაც...

იმ დროს ეს შესანიშნავი ადამიანი და მისი ამხანაგები იყვენ ერის ქკუა-გონების წარმომადგენელნი ჩვენში და, როგორც გონებით მშრომელ კაცთ, ამათაც ესაქიროებოდათ, აუცილებლათ, ისეთი საზოგადო ნიადაგი, სადაც დაცული უნდა ყოფილიყო ამ შრომის თავისუფლათ ტრიალი და ვითარება. რა თქმა უნდა, თუ პოლიტიკური თავისუფლება აღიარებული და დაცული არ იქნებოდა, არც ილია ქავჭავაძის გონებით შრომის, ლიტერატურულ მუშაობას დაეყრებოდა ხეირი და აზრი კაცისა შეიხუთებოდა...

კერძო ადამიანის და, საერთოდ, ერის თავისუფლების პრინციპის დიდს სამსახურს ილია ქავჭავაძის გულ-მკერდში ძლიერ აღვიძებდა კიდევ ერთი დიადი შესანიშნავი გარემოება. მე მოვახსენებთ იტალიის გათავისუფლების საქმეს. იმ დროს ორი საქვეყნოთ სახელგათქმული იტალიელის—მამინის და გარიბალდის სახელი მთელს ევროპის ხმელეთზე ქუხდა და იმათი შეგნეირი სამშობლო—იტალია თავისუფლების ბრწყინვალე გვირგვინს თავზე იდგამდა. იტალიის გათავისუფლების დიადმა საქმემ უკვდავების სული ჩაბერა პოლონეთის გამწარებულ მამულიშვილებსაც და ჩვენს ილიას, როგორც ქვევითაც დავინახავთ, ძლიერათ აუმღვლვარა გული თვისი სათაყვანებელი ერის, „უბედური, მარა შეგნეირი ქვეყნის“ გათავისუფლების საქმემ...

ამგვართ ილია ქავჭავაძის მთელს ლიტერატურულ მოღვაწეობას ორი დიადი საგა

ნი ასაღდგმულეზდა: ბატონ-ყმობის მოსპობის დიდი სურვილი და საქართველოს შვილთა პოლიტიკურათ გათავისუფლეზბის საქმე.

თუ სათვალავში არ ჩავადებთ საზოგადო—ეკონომიური ვითარების შესახებ იმ ლოგიკურს წინააღმდეგობას და დაუკვირვებლობას, რომელიც უნებურათ მოუვიდა მაშინდელს ჩვენს დიდს მოღვაწეს, ილია ჭავჭავაძეს, ჩვენ დავინახავთ, რომ იგი ცხოვრებაში გამოსვლისთანვე აყვა ახალს, ფეხ-აღმგულს ქართველთა ცხოვრებას, მას შიგ ღრმათ ჩაიხედა და თანდა თან ნაყოფიერი, დიდი შრომით შექნა მთელი შკოლა ახალი ბელეტრისტებისა, დაწერა საინტერესო, გულწრფელი და სერიოზული ლექსებიც, თვისი პუბლიცისტური ნაწერებით ჩვენს ქვეყანას მოფინა დიდათ ნათელი და პატიოსანი აზრები და გრძნობანი, საძირკველი ჩაუყარა მოწიფულ ლიტერატურის შექნის საქმეს, და, რაც უმთავრესია, დასახა პროგრამაც სამოქალაქო დედა აზრებისა და მოღვაწეობისაც.

ამ რიგათ, მე XIX საუკუნის ქართულს საერო ლიტერატურაში ერთი ძალიან დიდი ადგილი უჭირავს, მიუცილებლათ, ილია ჭავჭავაძეს, რომლის ხელ-სამძღვანელო, საზოგადო პოლიტიკური აზრების გარკვევას უყავია მთელი ერთი დიდი წერილი ჩვენი („ქართული ლიტერატურის მდგომარეობა“. წერილი მეორე, როდესაც ვეხები 60-იან წლების მოღვაწეთა აზრების გარკვევას. იხ. „კვალი“ № 17, 1893 წ.). ვითარცა ბელეტრისტი, ილია ჭავჭავაძე, საზოგადოთ, დახასიათებული გვყავს მეორე სტატიაში: „ქართველი გლეხის შვილი“.*) ახლა, აქ განზრახვა გვაქვს განვიხილოთ ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა, როგორც ლირიკოსი—მოგონისა.

*) იმ ჩემ სტატიაში, როგორც ახლა ვაწმუნდები, „ოთარაანთ ქერივის“ შესახებ. ნამეტანი მკაცრი კრიტიკა მქონდა დაწერილი.

თუმცა „ოთარაანთ ქერივი“ ტენდენციური ნაწარმოებია, მარა იქ არის ისეთი ძლიერი მხატვრული ადგილები, რომელნიც გენიოსის კალმის ნაწერებს მოგვაგონებს.

ავტორი.

III.

ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე დაიბადო საოცნებოთ გარდაშლილს, მდიდარს კანეთში*) (ძველი ალბანია), გაღმა მხრის ერთს უდიდესს და შეენიერს სოფელ ყვარელში 1837 წ. 27 ღვინობისთვის. იმისი მამა გრიგოლი პაატის ძე სამხედრო კაცი იყო, ნიყეგოროდის დრავუნთა პოლკის აფიცერი, რომეოსაც რუსული კარგათ ცოდნია და განათლებულიც ყოფილა. (ს)ბ-ნი გრ. ყიფშიძე წერს: „ნიშნობლივი თვისება გრიგოლის ხასიათისა, როგორც გავიგონია თვით ილიასგან, იყო სასტიკი მეტყველება სახისა და სასტიკობისვე გამოჩნატველი დუმილი. რამდენიმე დღე ხშირათ ისე გავიდოდა, რო მის ხმას ვერ გავიგონებდით... უნდა აღენიშნოთ აქ ერთი მოწმობა, რომელიც ამ გარემოებას თითქო არ ეთანხმება. ბ-ნი ა. ყ. თვის მკირე ბიოგრაფიულსა და ბიბლიოგრაფიულს შენიშვნაში ამბობს, მამა ილიასი, გრიგოლ პაატის ძე ყოფილა კაცი ოხუნჯი, კვინატი და მკვირცხლის გონების პატრონიო. მარა ეს შეუთანხმლობა ორ-გვარის მოწმობისა მხოლოთ გარეგანის ხასიათისა და არსებითად ადვილი მოსარიგებელია. შესაძლოა, ოხუნჯი და კვიმატი დრო და დრო, ოჯახგარეთ, სახლში ხშირათ იყო დაფიქრებუ-

*) 1898 წ. მე ვნახე ის ადგილი და სახლი, სადაც ილია დაიბადა. ავტ.

6) ბიოგრაფიული ცნობები ამოკრიბე ბ-ნი გრ. ყიფშიძის ჩინებული წერილიდან: „ილია ჭავჭავაძე“, რომელიც მოუთავსებია მას ჩვენი ნიჭიერი მკურნალის, მიხეილ ალექსანდრეს ძე გვედევანიშვილის გამოცემაში „ილია ჭავჭავაძის თხზულებანი“. ტომი I. 1914 წ. თფილისი. ამ შესანიშნავი გამოცემის შესახებ ჩვენ აქ დიდ აღტანებას გამოვთქვამთ და, პირადათ, დიდ მადლობასაც მოვასხენებთ თვით ბატონს მიხეილსა და მის მიერ მოწვეულ სარედაქციო კომისიის წევრებსაც, რომელთაც ძალიან დიდი სამსახური გაუწიეს, თუ სალიტერატურო, თუ ტენიკურს საქმეს ამ გამოცემისას. ჩვენ ხელთა გვაქვს აგრეთვე ილიას ავტობიოგრაფიაც და ბ-ნი ა. ყ. მიერ შედგენილი ბიოგრაფიული ცნობებიც. მარა ერთის და მეორეც მოკლეთ არის დაწერილი. ამ მხრით ბ-ნი გრ. ყიფშიძის წერილი სწორეთ იშვიათს ნაშრომს წარმოადგენს. ავტ.

ლი და სასტიკის დუმილით მოცული. ეს ორივე თვისება — ნიჭი ოხუნჯობისა და სასტიკი დუმილი, დიდხანს ყოფნა ხმაამოუღებელივგამოყვა მის შესანიშნავ შვილსაც“. 12—13 წლისა იყო ილია, როცა მან პირველთა ბავშვი, საოხუნჯო ლექსი „რწყილები“ დასწერა. პატარაობიდანვე ილიასთან შეზრდილი ბ-ნი კახტა აბხაზი მოწმობს, რომ ილია პატარაობიდანვე როგორღაც მიუკარებელი და ჩუმი იყო. მარა ამასთანავე მაშინვე ოხუნჯობის დიდი უნარი ეჩვენებოდა...

დედა ილიასი იყო ქალაქელი სომხის, ქრისტეფორე ბებურიშვილის ასული, მაგდან. გრიგოლ ჭავჭავაძე დიდი შეძლების პატრონი არ იყო და, ამიტომაც, უფრო დამოყვრებია სომეხს. შესანიშნავია ეს გარემოება იმით, რომ სომეხებს ჩვენში ამ შემთხვევითაც თავი მოქონდათ. მართლაც, აღმოსავლეთის საქართველოს თავადთაგანი: ილია ჭავჭავაძე, პროფესორი თარხნიშვილი, ვანო მაჩაბელი, დავით ერისთავი, კოსტა ამირეჯიბი და გრიგოლ დიასამიძე სულ სომხისშვილები იყვნენ და არიან... როცა მაგდანი დაუნისნავს გრიგოლს, სულ 13 წლისა ყოფილა, ქმარშვილობაში მაგდანი მარიამის სახელს ატარებდა. როგორც სხვა დანარჩენი სომეხთა ოჯახობა მთელს ქართლ-კახეთში, ქრისტეფორე ბებურიშვილის ოჯახშიაც წმინდა ქართული სული სუფევდა, ქართულ ენასთან ერთად, ყოველი ზნე-ჩვეულება, ჩაცმა-დახურვა, პურის ჭამა და ყოფა-ქცევა, ყოველი ინტერესი, სარწმუნოებრივ ინტერესს გარდა, პირ-წმინდათ ქართული იყო. ილიას სიტყვით, მის დედას-მარიამს ზედ-მიწევნით, შვენივრათ ცოდნია ქართული მწერლობა. სულ ზეპირათ ქონდა დასწავლილი ყველა ლექსი და ყველა ძველებური მოთხრობა და რომანი, რომელიც-კი იშოვებოდა მაშინ, ან დაბეჭდილი და ან ხელ-ნაწერი.

გრიგოლს და მარიამს სულ ექვსი შვილი ყავდათ. ოთხი ვაჟი: კონსტანტინე, ილია, თემური (თემურაზი) და სვიმონი; ქალები: ნინო და ელისაბედ. ძმები ილიასი სულ ყველა დაიხოცა. ილიას მომტანი ძმა-თემური — გარდაი-ცვალა პეტერბურგს, როცა კადეტების კორ-

პუსში სწავლობდა. ამ თემურზე ერთი კარგი გრძობიერი პატარა ლექსი აქვს დაწერილი ჩვენს პოეტს და მეორე მამიდა მაკრინესთან მიწერილი წერილი, რომელიც სავსეა მწარე გრძობითა და გულის მომკვლელის მწუხარებით. უფროსი თვისი შვენიერი ასული გრიგოლს მიუთხოვებია სოფ. კარდანახის დიდ მემამულესათვის, თ-დ ნიკოლოზ აფხაზისთვის, რომელთაც დარჩათ შვილი კონსტანტინე აფხაზი. ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა გუბერნიის დიდთ ნიჭიერი მარშალი, რომელიც გვაგონებს მის სახელოვან ბიძას-ილიას. უნცროსი ქალიშვილი-ელისაბედი მამას მიუთხოვებია თ-დ ჯამბაკურ ორბელიანისთვის. დაქვრივების შემდეგ, მეორეთ გათხოვებულა საგნაშვილზე, რომელიც გენერლის ჩინით გარდაიცვალა. მე მინახავს ელისაბედი, რომელიც სახით ილიას ძალიან ვავს.

ილიას დედა მარიამი, როგორც ჩვევით სომხის ნიჭიერ მანდილოსნებს, დიდი, ღრმა მოსიყვარულე ყოფილა თვისი ქმარ-შვილისა, დიდი გამრჯელი, დიდათ პატრონობდა და ზრუნავდა შვილების აღზრდაზე და გავითარებაზე. ილიასვე მოწმობით, მას, როგორც პატარას და ტანით რგვალს, მუთაქასავით ტახტზე დაავორებდენ, ზედ მასზე წიგნს დადებდენ და ისე კითხულობდა დედა, თურმე. „სლამოობითო, ამბობს ილია, დავგესხავდა დედა ბავშვს და გვიკითხავდა მოთხრობებსა და ამბებს. წაკითხვის შემდეგ, გვიამბობდა შინა-არსს და მეორე დღეს სლამოზედვე გვიკითხავდა, აბა, ვინ უფრო კარგათ მიამბობს, რაც გუშინ გაიგონეთო. ვინც კარგათ ვუამბობდით, გვაქებდა და ამ ქებას ჩვენ დიდათ ვაფასებდით“.

ბავშობაში ილია არ ყოფილა ცელქი და მოუსვენარი. იმას უფრო მარტო ყოფნა უყვარდა და გართობას ერიდებოდა.

წერა-კითხვა ილიას თავის მამის ოჯახში უსწავლია. რვა წლისა რომ შეიქნა ილია, იგი მთავრისთვის მიუბარებიათ. ეს მთავარი იყო კარგი მცოდნე ქართულისა და საღმრთო წიგნების კითხვა ცოდნია კარგათ. „იმისი უმთავრესი ღირსება-კი ის იყოფო, ამბობს ილია, რომ მომხიბვლელი თქმა იცოდა ამბებისა. გვიამ-

ბობდა მდაბიურათ და ბავშვებისთვის ადგილათ გასაგების ერთ უფრო საღმრთო და სამშობლო ქვეყნის ისტორიის ამბებს, ვის რა გმირობა მოექმენდა, ვის რა ფალავანობა გაეწია, ვის რა ღვაწლი და სიკეთე დაეთესა სამშობლოსა და სარწმუნოების სასარგებლოთ და დასაცველათ“.

თვით ილია ამბობს, რომ ბევრი ამ ამბავთაგანი ღრმით ჩამოჩა გულში და ერთი მათ შორის „დიმიტრი თავდადებული“ თემად გამოვიყენე მრავალ წლის შემდეგ—(1877 წ.). ერთი კიდევ საშობაო მოთხრობათ დავეწერე. „გლახის ნაამბობში“ ზოგიერთს ადგილს ცხადათ ამჩნევია კვალი მთავრის ამბების გავლენისაო.

„მთავართან ვსწავლობდიო, — განაგრძობს ილია: ამავე ჩემ სამშობლო სოფლის გლეხკაცების შეილებთან. ხუთნი, თუ ექვსნი ვიყავით, რამდენადაც მახსოვს. ყველანი შინიდან დავდიოდით მთავართან დიდ-დილით და სწავლა გვექონდა მხოლოდ შვადღემდე. წერა-კითხვას, როგორც მახსოვს, სულ საათს არ ვანდომებდით ხოლმე: დანარჩენი დრო იმაში გადიოდა, რომ ვთამაშობდით თვით მთავრის ზედა-მხედველობით და ხელ-მძღვანელობით და, უმთავრესათ უფრო იმაში, რომ ვისხედით და ვისმენდით იმის გასატაკებელ ნაამბობს“.

ბ-ნ გრ. ყიფშიძეს ეს გარემოება იმიტომ მიაჩნია საინტერესოთ, რომ შესაძლებელია, ყმაწვილობიდანვე საფუძვლათ დაედო ილიას სიყვარულს გლეხკაცობისადმი, მის დემოკრატიზმს, რომელმაც ასეთის ძლიერებით იჩინა თავი მის ნაწერებსა და ცხოვრებაში.

ილიას გამდელი, საღომე ლოლამისა, რომელიც დღესაც კოცხალია ასე აწერს, თურმე, ილიას ბავშობას: ცელქობა და თამაშობა აგრე რიგათ არ უყვარდა, წიგნების კითხვას ეტანებოდა ძლიერაო. მეტისმეტი სრული იყო, ხორცილთ სავსე... ამ მხრივ ილია დედას გავდა: ისიც სრული იყო და ტან-დაბალი. ილიას პატარაობისვე უყვარდა ლექსები, გლეხის ბიჭებს გააჯიბრებდა ხოლმე ლექსების თქმაში... ილია ძალიან ხათრიანი იყო, ხმა ზაღალს სიტყვას არავის ეტყოდა, გაჯავრებულიც რომ

ყოფილიყო. თერთმეტის წლისა იყო ილია, როცა დედა მოუკვდა. დედით დაობლებულ შეილებს მამა გრაგოლმა მოგვარა ბავშვების მამიდა, მაკრინე, ქვრივი ივანე არაგვის ერისთავისა ობლების საპატრონებლათ. მაკრინე ნამდვილ დედობას უწევდა თავის ობოლ ძმისწულებს. ზალე ილიას მამაც მოუკვდა, ის ამდროს 15—16 წლისა თუ იქნებოდა. ამ ზედი ზედ თავზე დამტყდარმა უბედურებამ და დიდმა მწუხარებამ ერთი უსაშინელესი ქარ-ცეცხლი ასტეხა ამ იშვიათი ყმაწვილის მთელს არსებაში. მას დასჩემდა გულში ღრმით ჩაკვლა დარდისა და მწუხარებისა, შეეჩვია დიდხანს დუმილით ყოფნას და გარეგნულათ კაცს იგი დამშვიდებული ეგონებოდა, როცა მის გულში უმწარესი და უსაშინელესი გრძობა დუღდა.

ხომდელი.

(შემდეგი იქნება).

ს ა დ გ ე ი ს ო .

(იხ. „განთიად“ № 11).

კოპერაციებმაც დიდი სამსახური გაუწია გაქირვებაში მყოფ ხალხს და იმათი შეტევაც სპეკულიატორების წინააღმდეგ მდგარი იყო. კოპერატიულ ნიადავზე, თუ კოპერაციის საშვალობით ხშირათ შემოიტანეს საქონელი და მიაწოდეს ხალხს რიგიან ფასებში. კოპერაციამ, რუსეთის ცხოვრებაში ამ საკმაოთ საგრძნობმა ეკონომიურმა ძალამ, ფულათაც დიდი დახმარება გაუწია ხალხს...

მიუხედავათ სხვა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების ასეთი დიდი დახმარებისა, იქ ხალხმა გაჭირვებას თავი სავსებით მაინც ვერ დაახწია და მათმა დახმარებამ ხალხი გაქირვებისგან სრულათ მაინც ვერ დაიხსნა. გაქირვებულ ხალხს, ამ მდგომარეობაშიც მყოფს, ღირსეული პატრონები აღმოუჩნდა და აღძრეს შესაფერი შვამდგომლობა სათანადო ადგილს სასურსათო თანხიდან დახმარების მიღების შესახებ. ამ შვამდგომლობას უმედევით არ ჩაუვლია და, როგორც „სევ. ზაპისკში“ მოთავსებულ ნ. ოგანოვსკის წერილიდან ჩანს, ხალხს რუსე-

თის შიდაგურენიებში 1915 წლის 1 იანვრამდლი სასურსათო თანხიდან 190 მლიონ მანათლის დახმარება მიუღია. ამას დაუმატეთ ის დახმარებაც, რომელსაც მიიღებდა ხალხი იანვარს აქით და თქვენთვის აშკარა იქნება, თუ რამდენათ დიდი ყოფილა ხალხის გაჭირვება.

ამ მხრით პოლონეთშიც ბევრს მუშაობენ და ხალხს მძიმე ტვირთს ცოტათი არის მაინც უსუბუქებენ. არსებობს, ასე წოდებული, ობივაცელთა კომიტეტები, რომლებიც ზრუნავენ მათდამი რწმუნებულ ქალაქის, თუ დაბის საწვავათა შემოტანის მხრით უზრუნველსაყოფათ და აგრეთვე ნიხრის შემუშავებისა და მისი მიხედვით გაყოფისთვის...

ჩვენში სულ სხვაა... და აქ ცხოვრების გაძვირებას სულ სხვა სახე აქვს მიღებული. აქ საქმეს აბრკოლებს ამ მხრით საქონლის გადატან-გადმოტანის მოუწყვრიგებლობაც. შედარებით რუსეთთან, კავკასიაში რკინის გზები ნაკლებათაა გაყვანილი და, თუ არის აქ რკინის გზები, ისიც სტრატეგიული მოსახრებითაა გაყვანილი. სტრატეგიული მოსახრებით გაყვანილ რკინის გზებს ახლა ნაკლებათ სცალია მშვიდობიან ხალხის სასამსახუროთ და ეს გარემოება კიდევ ერთი ორათ არათულებს საქმეს. სწორეთ, ამ გარემოების შედეგია, რომ ჩვენში ცხოვრების გაძვირება 100—150 პროცენტს უდრის, მაშინ, როდესაც რუსეთის შიდა გუბერნიებში ცხოვრების ეს გაძვირება 25—30 პროცენტს არ გასცილებია. აქ ქალაქები, დაბები, სოფლები სხვა მხრითაც უპატრონო შეიქნა. ჩარჩულ ინსტიტუტებთან ბრძოლაში ყველაფერი და ყველანი უძლიური აღმოჩნდა. ამ დუხპირ მოვლინებასთან ქალაქის თვითმართველობათა ბრძოლაც სულ სხვა ხასიათისაა. ჩვენი თვითმართველობანი მარტო კაბინეტური მუშაობით კმაყოფილდებიან და არასოდეს სიტყვიდან საქმეზე არ გადადიან, თუმცა მათი არც სიტყვა წარმოადგენს დიდ რამეს... საბჭოს სხდომაზე გამოიტანებენ რაღაც უმნიშვნელო დადგენილებას და მასაც, კაბინეტის მაგიდას ქვეშ, უჯრაში შეინახვენ. ნიხრსაც შეიმუშავენ. მარა მათ სამარცხვინოთ ამ ნიხრს იო-

ტის ოდენა ანგარიშსაც არავინ უწევს.

ჩვენში ქალაქის თვითმართველობათა უძლიერება პირდაპირ საარაკოა. საქმით ისინი არაფერს არ აკეთებენ მათდამი რწმუნებულ მცხოვრებლების სასარგებლოდ და ეს არის მიზეზი, რომ მთელი კვირაობით, ხან შაქარს ვართ მოკლებული, ხან პურს და ხანაც სხვა უსაქიროეს საწვავებს. ხშირათ ასეთ შემთხვევაში მათი უძლიერება აიხსნება მათივე მცონარეობით, დაუდევრობით და მოვალეობის შეუგნებლობით. როდესაც საქმე ხალხის, მთელი ერის გაჭირვებას ეხება და ისიც ისეთი დიდ გაჭირვებას, როგორც დღეს არის, მაშინ განათლებულ ადამიანისთვის მცონარეობას და დაუდევრობას ადგილი არ უნდა ქონდეს და მისთვის დაბრკოლება არ უნდა არსებობდეს. ასეთი ადამიანი თვისი მოვალეობის იმდენათ დიდი ერთგულია, რომ მასში მოვალეობის შეგნება იწვევს ხალხის დახმარების ძლიერს სურვილს. ჩვენში ასეთი ადამიანები ძალიან ცოტაა და ჩვენს დაწესებულებებში ყველგან უსაქმურები, მოდუნებულნი, სულთი მოხუცებულები არიან გამეფებული. ბევრ მათგანს ხალხის ინტერესების დასაცავათ საზოგადოებაშიც კი არ შეუძლია ამოიღოს ხმა, არამც თუ სათანადო მთავრობის წინაშე. ეშინიათ ხალხის ინტერესების გამოსარჩლებისთვის არავინ არ დაგესაჯოს, ცუდი თვალთ არავინ შეგვხედოს, არ გაგვიწყრენ და რამე ცუდი არ იფიქრონ ჩვენზეო. მომქმედი და საქმის ხალხი—კი საქმეს ჩამოშორებულია, ამ უსაქმურთა წყალობით.

ასეა, თუ ისე ხალხის გაჭირვება მეტათ დიდია და ამ ახლო ხანში, თუ ომი არ მოისპო, უფრო დიდი შეიქნება და, ჩვენში ასეთი უმოქმედობა, თუ გაგრძელდა კიდევ, მაშინ ხალხის მდგომარეობა პირდაპირ აუტანელი გახდება და ამიტომ მოეუწოდებთ ქალაქის მოღვაწეთ უკუაგდონ უილაჯობა, მოდუნება, მცონარეობა, გულგრილობა და სხვა ასეთი სენი ნაკისრ ვალდებულობას, მცხოვრებთა ინტერესების დაცვას ერთგულათ, ემსახურონ. რა დროს მცონარეობაა, როდესაც გაჭირვება ხალხს სულს ხდის და, როდესაც ხალხი უპატრონოთ მიგდებული მტაცებელ-

თა და სპეკულატორთა ხელში სულს დაფავს. საქმე, ბატონებო, საქმე და ნამდვილი სამსახური გაუწიეთ იმათ, რომლებმაც მამებათ და პატრონებათ ავირჩიათ. დღეს მკონარეობა უდიდესი ბოროტებაა, ვინაიდან მკონარეობა ვალდებულებათა დალატს ნიშნავს, ხოლო ვალდებულობის დალატი და ისიც ასეთი, ჩვეულებრივი დროსაც — კი დანაშაულობაა, თორე ახლა ხო ზედმეტ დანაშაულობას წარმოადგეს. მისთვის არ აურჩევიათ ხალხს მაგ ადგილებზე, რომ ოც რიცხვებში ჯამაგირები სწორათ მიიღოთ და სხვა დროს — კი ფუფუნებასა და განცხრომის მიეცეთ ამ ოცებში აღებულ ჯამაგირით. ვინც განცხრომასა ღ ფუფუნებას განიკებთ, მას იმდენათ მაინც ემსახურეთ, რო თუ ფული ექნა, საშვალემა ქონდეს იმისი, რომ იყიდოს სანოვაგე და ხორავი. სხვა რომ არ იყვეს, და მხედველობაში რომ არ მივიღოთ თქვენი სამსახურის ვალდებულობა, ხალხის სამსახური ამ დროს ინტელიგენტური ვალდებულობაცაა თქვენი...

ჩვენს სოფელს ისედაც უნუგეშო მდგომარეობაში მყოფს, და ეკონომიურათ სრულათ დაცემულს, შედარებით ქალაქთან, ომ მა უფრო მეტი უბედურება დაატეხა თავზე. მარა მას იმდენი პატრონიც — კი არ აღმოაჩნდა, რამდენიც ქალაქს და მისი ინტერესების დასაცავათ ერთი ხმაც კი არავინ ამოიღო. სოფელს ომიც რომ არ წამოწეოდა, ისედაც უჭირდა, ვინაიდან შარშანდელი დიდი მოუსავლობა მეტათ საგრძნობი და დამლუპელიც იყო მისთვის. ერთ უბედურებას, მეორე ზედ დაემატა, უბედურება ერთი მეორეზე უარესი. მარა თქვენც არ მომიკვდეთ, ის მაინც ყურათღების ღირსი არ გახდა.

სხვას თუ არა, ხალხის ამ გაქვივრებულ მდგომარეობისთვის დიდი ყურათღება უნდა მიექცია მთავრობას... მან რუსეთში რუსეთის ხალხის ასეთი გაქვივრება ყურათღების ღირსი გახადა და ჯერ მარტო 1915 წ. 1 იანვრამდი ხალხს სასურსათო თანხიდან 190 მილიონ მან. დახმარება მისცა. ჩვენში გაქვივრება და საქიროება ამგვარი დახმარებისა კიდევ უფრო დიდია, ვინაიდან ჩვენი ხალხი მოკლე-

ბულია კოოპერაციის ძლიერ ეკონომიურ ძალას, საეროზო თვითმართველობას, და შედარებით რუსის ხალხთან, ბევრ სხვა წყალობასაც... ექვი არაა, მთავრობა ჩვენს ხალხსაც დაეხმარება და სასურსათო თანხიდან ჩვენს ხალხსაც მისცემს დახმარებას, მხოლოთ საჭიროა ჩვენი ხალხის გაქვივრებაზე ხმის აიოლება და ხალხის ინტერესების დასაცავი სიტყვის გაბედული და ხმა მაღალი თქმა...

სასურსათო თანხა, ხალხის ფულია მშვიდობიანობის დროს ხალხში მოგროვილი გაქვივრებულ დღეებისთვის. და დღეს რო გაქვივრებაა, ამაზე მეტი გაქვივრება, როდისღა იქნება! მიუცილებლათ, უნდა იქნას აღძრული შესაფერისი შვამდგომლობა გაქვივრებისთვის. შენახული ხალხის ეს ფული, რაც შეიძლება, საჩქაროთ თავის დანიშნულებას მოხმარდეს...

ვიძახით გაქვივრებაშია ხალხი, ის სიმშვილს განიცდის, უბედურება აქვს თავზე დამტყდარი და, ჩვენდა სამარცხვინოთ, ის კი არ ვიცით, თუ რამდენათ დიდია ეს გაქვივრება და, ან, სად, რამდენი დახმარებაა საჭირო ხალხისთვის. ეს ჩვენი სისუსტე, სიგლახე უნდა გასწორებულ იქნასადა ჩვენს ამ გვარ ბედოვლათობას ერთხელ და სამუდამოთ უნდა მოეღოს ბოლო. რას ვუყურებთ, თუ კი ვფიქრობთ ხალხის დახმარებას, ხალხსაც ეს დახმარება ამ დროს სჭირია. აუცილებლათ, ხმა უნდა ამოიღონ და ამ მხრით საქმესაც ხელი უნდა მოკიდონ ისეთ პირებ მა, როგორც არიან: ნიკო ნიკოლაძე, გ. ზდანოვიჩი, გ. ლასხიშვილი, გ. ყაზბეგი, დ. ჩოლოყაშვილი, გ. დიასამიძე გ. რცხილაძე იაკ. ფანცხავა ნ. უორდანი და სხვები. ეს ჩვენი ინტელიგენტის წარმომადგენელი მთავრობის ნებაყოფლობით, რასაკვირველია, თფილისში კრებას მოახდენდა, იქ საერთო მოქმედების გეგმას ორგანიზაციას შეიმუშავებდა, როგორც პოლონეთშია დღეს და ეს ჯგუფი მწყობრს და სერიოზულს მუშაობას გააჩაღებინებდა ჩვენს ეროვნულ საკულტურო დაწესებულებებსაც... ისეთი დიადი საქვეყნო საკითხი, როგორიც არის მთელი დასავლეთ-საქართველოს დამშევა

ნამეტურ და მთელი საქართველოს არე-მარეზე საშინელი გაძვირება სანოვაგე ხორაგეულობისა ამ მოღვაწეებს ცეცხლივით ააპრიანებდა, მოქმედების ენერგიას გაუორკეცებდა და დაიწყებდნენ მწყობრ, შვირთებულ მოღვაწეობას. *)

დარწმუნებული ვართ, მათი ავტორიტეტიანი ხმა არ დარჩებოდა ხმათ მღალადებლისა უღაბნოსაშინა და მათი ხმის ამოღებით შეიძლებოდა ჩვენს ხალხს ცოტათი რამე მაინც შეეღებოდა... მარა არა მარტო ხმა უნდა ამოიღონ, არამედ საქმესაც მოკიდონ ხელი... საქმის გაკეთება იქ, სადაც ბატ. ნიკო ნიკოლაძე იქნება, ძალიან იოლია... უნდა დაარსდეს ორგანიზაცია ხალხის გაჭირვების და დამშვიდების შესახებ უტყუარ და დანამდვილებით დაწვრილებითი ცნობების შესაკრებათ. ეს უნდა მოხდეს სულ მოკლე დროში, ვინაიდან მომენტი ისეთია, რომ დროს გადადებებს არ იწყნარებს.

ვისაც თავის მოღვაწეობის ქვა-კუთხედათ ხალხის კეთილდღეობა გაუხდია და მთელი თვისი მოღვაწეობა ამ ხალხის სასარგებლო მუშაობისთვის შეუწირავს, ის ასეთ დროს გულზე ხელს ვერ დაიკრეფს, ვინაიდან ხალხს მათი სოფლ-მხედველობის ამ მთავარ ადგილს საბედისწერო დღე ადგია და ცხოვრების ამ საშინელ ორონ-ტრიალში მისი სიკვდილ სიცოცხლის საკითხი წყდება. თუ არის მათში დიდი სიყვარული მათგან გაკეთებული საქმის, თუ არის მათში საპატიო დაფასება მათივე მოღვაწეობის, მაშინ ხმას ამოიღებენ და დროს არ წააღეციებენ ამ მათ ნაშრომსა და ნაღვაწ დიდ საქმეს.

*) მიუცილებლათ, დიდი, ძალიან დიდი თავგამოდება და თავ დადებული მუშაობაა საქირა. და ჩვენი ინტელიგენციის და საზოგადოების მეთაურები ჩვენი ენერგიული დეპუტატის აკაკი ჩხენკელივით უნდა გამოვიდნენ საქვეყნო სარბიელზე, რომ მოაწოდებს და რუსეთის საზოგადოებას გააგებიონ ის უშველებელი შიმშილი, რომელიც, აგრ. რამდენი წელიწადია ზედიზედ დაატყდა თავზე ჩვენს ხალხს.

ჩეღაძეძია.

დღეს დრო ისეთია, რომ ყველაფერს წალეკას უქადის და, თუ არა ფხიზლათ ყოფნა და აღლოს ართმევა ამ დროის, ის გაანადგურებს და წალეკავს ქართველი ერის ყოველივე წმიდათა წმიდას...

თუ ხსენებულმა პირებმა ხმა ამოიღეს და ისე მოაწყვეს საქმე, როგორც ზემოდ არის მოკლეთ აღნაშნული, მაშინ ადვილი იქნება სათანადო მთავრობის წინაშე დახმარების გამოთხოვა. ყოველ შემთხვევაში სასურსათო თანხიდან დახმარების მიღებას არც დღეს აბრკოლებს არაფერი და გაჭირება რომ დიაღია და დახმარებაც საქირა, ეს დღესაც ცხადია ყველასთვის. და, თუ ხალხს სასურსათო თანხიდან დახმარება ვერ მიუღია, ეს აიხსნება მხოლოდ უკაცობით. ჩვენში კაცი არ არის, რომ გაჭირება ხალხისა ყურათიღოს, გაბედული სიტყვა თქვას და შესაფერისი შვამდგომლობაც აღძრას დახმარების შესახებ. დღეს პატარა კაცები ვერაფერს ხდებიან, ვერ აკეთებენ და ისევე დიდებს მიემართავ. ამ საქმეშიც ნიკო ნიკოლაძის დახმარება სწორედ რომ ძვირფასი და სამარადისო იქნებოდა.

გ. ხონელი.

15 აპრილი.

სახელმწიფო დუმა.

ომის წლისთავზე, 19 ივლისს, პეტროგრადში სახელმწიფო დუმა შეიკრიბა.

მარა ჩვენთვის სრულიათ გაუგებარია, მიენისიდან მოყოლებული სახ. დუმა, როგორღა შეიძლება დღეინდღეს ვითარებაში თავის მალა აწევას, საკუთარი ინიციატივის ამუშავებას მოქალაქობრივი გამგებლობის და ენერგიის გამოჩენას, რომ მთელი რუსეთი, ნამეტურ მისი დამდვილი და ჭეშმარიტი დემოკრატია დიდი იმედებით აღაფრთოვანოს და გაიტაცოს სა-

მკრმისო მოღვაწეობისა და მტკიცე საქვეყნო მოქმედებისკენ...

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სიტყვით, რომელიც მან ღუმეში წარმოთქვა, „ომი ხანგრძლივი იქნება და მოითხოვს სულ ახალ-ახალ სხვერპლს.“

უფრო საყურათღებოა სიტყვა სამხედრო სამინისტროს გავგის, ნიჭიერი პოლივანოვის, რომელიც მან ტრიბუნიდან წარმოთქვა.

გენერალი პოლივანოვი ხელმძღვანელი იყო რუსული სამხედრო ჟურნალისა, განათლებული, მართალი გულის პატრონი ადამიანია. იგი დღემდე სინამდვილეს პირდაპირ უცქერის, რუსეთის საშინელს მტერს—გერმანიას, რომელსაც ამ ომიანობის საბლების ორივე წვერი ხელში მაგრათ უჭირავს, ასე ახასიათებს: გერმანიის მრეწველობამ ჩვენს წინააღმდეგ აამოძრავა მთელი არტილერია. მოქმედება დააწყებინებს უღიადეს ზარბაზნებს, რომლის მსგავსიც ჯერ არც ერთ ომში არა ყოფილა, სამხედრო მასალაც ჯერაც დაუშრეტელი აქვს; მტერი არ ერიდება და ერთი საათის განმავლობაში პატარა ადგილშიც-კი იმდენ ყუმბარას ისვრის, რო ბოლოს ველს ძირიანფესვიანა თხრის. დაუშრეტელი აქვს მას აგრეთვე ტყვიის მტყორცნელები, თოფები და ტყვიები...

გერმანიამ უზრუნველყო ტეხნიკური საშუალებათა მხრით, მეტადრე საარტილერიაო მასალით თვისი უპირატესობა, შედარებით, ჩვენთან და ჩვენ მოკავშირეებთან. გერმანიამ ორი გზით მიაღწია ამას: აუარებელი საარტილერიაო მასალა დაამზადა ომის წინ და წინ დაწინე თვისი მდიდარი მრეწველობა ისე მოაწყო, რო იგი ომის დაწყებიდანვე ომის საქრო მასალის გაკეთებისთვის მზათ იყო სრულიათ. მისი მრეწველობა ომის წინ მთელს ქვეყანას აწვდიდა თავის ნაწარმოებს და ომის დროს ყველა იმ მანქანებმა, რომელნიც გასაზიდ ნივთებისგან გათავისუფლდენ, დაიწყეს ჯარის საქროებისთვის მუშაობა. გერმანელების უპირატესობა, უმეტეს ნაწილათ, გამოი სახა მძიმე არტილერიაში, ყუმბარების, თოფების და ტყვიის მტყორცნელების მრავალ რიც-

ხოვნობაში. თუ, როგორც ირკვევა, გამარჯვება და დამარცხება დამოკიდებულია ლითონის რაოდენობაზე, რომელიც მიტანილ უნდა იქნეს ბძოლის ველზე, ჩვენ უნდა ვეცადოთ და მოვითხოვოთ, რო გავითარებულ და გაფართოებულ იქნას ჩვენში ის მრეწველობა, რომელიც ამზადებს სახელმწიფო დაცვისთვის საჭირო ნივთებს, მეტადრე საარტილერიაო საგნებს...

ბატონებო, ხედავთ, რა მტერთან გვიხდება ბძოლა! მასთან ომი მხოლოთ მის დამარცხებით უნდა გათავდესო... ამისთვის საჭიროა მთელი ქვეყნის ძალთა მობილიზაცია, ომის თავიდან დაწყებაო...

შარშან-კი, როცა ომი დაიწყო, ყველას ეგონა, გერმანია შუაში გაიჭყლიტებოდა სრულიათ, დიდი-დიდი სამი, ან ექვსი თვის განმავლობაში ევროპის კონტინენტის, ინგლისის და აზიის ზღვის ვეშაპის უძლიერესი და ეკონომიურათ უღონიერესი მტრებისგან. მარა, როგორც ხედავთ, ეს იმედებიც არ გამართლდა... და გერმანია დღეს, რუსეთის სამხედრო მინისტრის მართალი სიტყვითაც, აცვიფრებს მთელს ქვეყნიერებას და სახ. ღუმის ტრიბუნიდან საჯაროთ გაიძახიან, რო ჩვენ ვერ ვიცნობდით გერმანიას, ვერ იცნობდენ ვერც ჩვენი მოკავშირენი, საფრანგეთი და ინგლისი, თურმე, იმასო...

მართალია, ამ უსაშინელესმა ომმა გერმანია სოფლიო ბაზარს სრულიათ მოწყვიტა. მარა მან თავის საკუთარს ნაციონალურს წარმოებაში შეიტანა დღემდე მომენტის შესაფერი წესები და თვისი ყოველისფრათ რთული საზოგადობრივი ცხოვრება დაუქვემდებარა ვასაოცარს დისციპლინას.

გერმანიის მთავრობამ ერთი დიდი ნაბიჯი კიდევ წადგა წინ. მან შემოიღო ხორბლეულობის მონოპოლია და ამ გზით დემოკრატიის ერთი უმთავრესი მოთხოვნილება პრაქტიკაში სრულიათ ვაანორციელა... გერმანიამ აამუშავა და დარაზმა საზოგადობრივი ძალები, აუარებელ კერძო კაპიტალისტთა და აგრარათა წარმოებას წმინდა საზოგადობრივი ხასიათი მისცა და ამით ბძოლის საკუთარი ნიჭი ათჯერ

უფრო მეტათ გააძლიერა და აამუშავა, ვიდრე ეს უწინ ქონდა.

რალა დასაფარავია, საბოლოო გამარჯვებაც იმას დაჩრება, ვინც ამ ნიადაგზე იმუშავებს, ვინც თავის საზოგადო-ეკონომიურს ცხოვრებაში წესიერებას დაამყარებს და დიდს საშხედრო-პოლიტიკურს ძალას და ენერგიას აამოქმედებს...

მგონია, რუსეთმაც შეიგნო მომენტის ეს დიადი საჭიროება და ამბობს: ყველაფერი ომისთვისო“.

ჩვენი მთავრობის დეკლარაციის უმთავრესი მუხლიც ამას გვეუბნება ყველა მინისტრების ზირით.

„აქ განსახილველათ შემოაქვს მთავრობას ის კანონ-პროექტები, რომელთაც ომთან პირდაპირი კავშირი აქვთ, დანარჩენი კანონ-პროექტები, დიდი და მცირე, რასაც რუსეთის ხალხის მშვიდობიან ცხოვრების გაუმჯობესობა აქვთ მიზნათ, დროებით გვერდზე გადადევითო“.

მაშასადამე, დღეინდღეომა უდიადესმა ომმა, რომლის მსგავსი რუსეთს არ დასტეხია თავზე არას დროს, თითქმის შეაერთა მთავრობა და ხალხის წარმომადგენელნი. დღეს ისინი ერთი მკორეს მეტის ნდობითაც უცქერიან. „შიში შეიქს სიყვარულსო“, ნათქვამია.

ასე წარმოადგინეთ, სახ. დუმის თავმჯდომარე როძინკომაკვი გააცხადა, რო ხალხის წარმომადგენლებს კაი თვალთ უცქეროდენ და საჭიროა შეიცვალოს მართვა-გამგეობის მთელი სისტემაო. დებუტატი კარაულოვი სახ. დუმის ტრიბუნადან თხოულობს ჰსუსის მკუბეჟ სამინისტროს შემოფეხსაც...

მთავრობის ერთი დიდათ საყურათღებო კანონ-პროექტი იპურობს ამ ეამათ მთელი ქვეყნის ყურათღებას. ეს შემოსავლის კვალობაზე გადასახადის დაარსებაა.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ მინისტრ-პრეზიდენტის სახ. დუმის ტრიბუნადან განცხადება-პოლონეთის ავტონომიის და ყველა ერთგულ მოქალაქეებისადმი, მიუხედავათ მათი ეროვნებისა და რწმენისა, კეთილ დამოკიდებულების შესახებ. მარო, წერს „რუსკია

ვედომოსტი“, განახლებული კაბ-ნეტის შინაურ პოლიტიკის შესახებ პრინციპიალური საკითხი, რომელიც დღეს საზოგადოებას აღელვებს, და რომელიც მთავრობის სისტემის შეცვლას შეეხება, ხელიც არ ახლეს მინისტრებმაო. რუსეთი დაჩვეულია „მალიდან“ რეფორმებს.

25 ივლისი.

† სოლომონ ქრისტეფორეს ქე კიპ-რიზოვი.

13 ივლისს, სადამო ხანზე, თავის საკუთარი სახლის კიბზე ვერაგულათ მოკლეს სა მოცდაშვიდი წლის მოხუკებული სოლომონ ქრ-ძე კიპრიზოვი, რომელიც ტომით ბერძენი იყო.

ეს იშვიათი გულის ადამიანი სრულიათ ვაქართველებული იყო, დიდი მოტრფიალაც სწავლა-განათლებისა და გულით უყვარდა ქართველობა და ტკბილი საქართველოც.

განსვენებულმა სუფსარქისის ქუჩაზე მდებარე თვისი საკუთარი, ორმოც ოთახიანი სახლი, 40.000 მან. ღირებული, ამასწინათ ქართველ ქალთა „განათლების“ საზოგადოებას შესწირა.

1890 წელს, როცა თფილისში „ქართულ წიგნების გამომცემელი ამხანაგობა“ დავაარსეთ, სოლომონ ქრისტეფორეს ძე, ჩვენს მერე, სწორეთ პირველი აღმოჩა მთელს თფილისში, რომელმაც იმ წამსვე შეიძინა ამ „ამხანაგობის“ პაი. მე და საშა ჯაბადარს კიპრიზოვის (არა ქართული გვარის) გაგონებაზე ღიმილი მოგვდიოდა და ხშირათაც მისი გვარის ხსენებაში ვიყავით. სოლომონის საქციელი ჩვენ გვაქებებდა და გულში იმედაც გვესახებოდა, რომ ამ კაცის შავალითი ბევრ ქართველობას მოიზიდავდა პაების საყიდლათ. მარა გამართლდა-კი იმედი?!

ეს პაებიც განსვენებულმა ქართველთა შორის წ. კითხ. საზოგადოებას შესწირა.

19 ივლისს, კვირა დღეს, დასაფლავეს განსვენებული. სახლიდან მგლოვიარე დიდ ძალი საზოგადოების თან ხლებით ცხედარი

წასვენეს ხარფუხის წმ. ნიკოლოზის ბერძნულ ეკლესიაში, სადაც გორის ეპისკოპოზმა ანტონმა არქიმანდრიტის პიროსისა და ბერძენთა არქიმანდრიტის პატრიკის თანა მწირველობით გადაიხადა მიცვალებულის წირვა და პანაშვილი. პანაშვილის წინ ეპისკოპოზმა ანტონმა გრძობიერი სიტყვა წარმოთქვა, რომელშიაც ცოცხლათ დაახასიათა განსვენებულ უხვი ქველმოქმედის ბიროვნება და ღვაწლი ქართველ საზოგადოების წინაშე. სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე: ქ. შ. წ.-კით. გამაგრცელებელ საზოგადოების წარმომადგენელმა ბატ. ვარ. ბურჯანაძემ, „თეატრის და ცხოვრები“-ს რედაქტორმა ბატ. იოს. იმედაშვილმა და ბერძენთა არქიმანდრიტმაც.

მიცვალებულის ცხედარი დაკრძალეს პეტრე პავლეს სასაფლაოზე, განსვენებულის მეუღლის საფლავის გვერდით.

დაკრძალვასაც დიდძალი ხალხი დაესწრო. მათ შორის იყვნენ წარმომადგენელი „განათლების“ საზოგადოებისა, რომლის საპატრონო წევრად ითვლებოდა განსვენებული, ქ. შ. წ.-კით. გამაგრცელებელი საზოგადოებისა, ბერძენთა საზოგადოებისა და მრავლის უმრავლესი პატივისცემელი განსვენებულისა.

შეიღებანი და მანდერკველდე ომის შესახებ.

„კიევ. მისლში“ დასტამბულია „ფორვერტს“-ში დაბეჭდილი შეიღებანის წერილი „ზავის სურვილი“ და ვანდერველდეს „ლია წერილი მოქალაქე შეიღებანს“, რომელიც ბელგიის პრესაში გამოქვეყნდა.

„ფორვერტსის“ 20 აპრილის ნუმერში — ამბობს შეიღებანი — მოთავსებულია აშხანავ ვანდერველდეს სიტყვის ანგარიში, რომელიც მან პარიზში წარმოთქვა 18 აპრილს. როგორც გადმოგვცემენ, მას უსმენდა „რჩეული ხალხი“, საშვალა ბურჟუაზიის და მალალ მოხელეთა წრიდან, რის გამო ადვილი წარმოსადგენია, თუ, რათ არავინ გაუწა მას წინააღმდეგობა, რაც მოსალოდნელი იყო,

რო მუშა-სოციალისტების წინაშე გამოსულიყო.

ვალდერველდემ იქ მოიგონა, რომ უკანასკნელათ პარიზში ჩემთან და ჟორესთან ერთად ის იცავდა მშვიდობიანობას და ამასთან დაუმატა:

„დღეს მე ვლაპარაკობ **ომზე და ომისთვის** და, მიუხედავად ამისა, ვრჩები ის, რაც წინათ ვიყავი, ე. ი., მშვიდობიანობის სოციალისტური და ინტერნაციონალური დამცველი და, როგორც ასეთი, **მე ომის მომხრე ვარ ბოლომდის...**“

ამ სიტყვების წაკითხვა ჩემთვის მეტათ მწარე იყო, რადგან ვანდერველდე არის არა მარტო მინისტრი, არამედ ინტერნაციონალ სოციალისტურ ბიუროს თავმჯდომარეც. ჩვენ მაინც გვინდა ვთქვათ ორიოდე მისი გასამართლებელი სიტყვა. ჩვენ უნდა შევიდეთ მის მდგომარეობაში. ის ბელგიელია, თვისი სამშობლოს გაჭირვების დროს — ის შევიდა საპინისტროში, რომლის ტრადიკულ ბედს მეტათ თანაგრძობით ვეკიდებით ჩვენ, გერმანელ სოციალისტები.

მარა ვანდერველდე ლაპარაკობდა ომის სასარგებლოთ, **ომისთვის ბოლომდის**. მას კიდევ წამს მთელ ბელგიელებთან, ფრანგებთან და ინგლისელებთან ერთად გერმანიის სრული დამარცხება და, თუ, რას გულისხმობს ის ომის ბოლომდი გაგრძელებაში, ახლა ნათელია, როცა ამბობს:

„მე ბრაზი მომდის იმ ჩვენ თანამოაზრეებზე, რომელთაც სურთ ზავი, ახ... არა! დანაშაულობას უთუოდ უნდა მოყვეს დანაშავის დასჯა, შურის ძიება...“

ამას ამბობენ ახლა, ცხრა თვის საშინელი ომის შემდეგ. ლაპარაკობენ ჩვენს ქვეყანაზე იმავე ენით, რამაც სამი თვის წინათ მე მაიძულა მეთქვა, რომ მიუხედავად ჩვენი მშვიდობიანი სურვილებისა, დღეინდელ პირობებში, სხვა გზა აღარ დაგვრჩენია რა, თუ არ „გავმარდეთ“. ზოგიერთებს ეს სიტყვა საშინელებათ მოგჩვენათ და მე უპირველეს მეომრათ დამსახეს. თუქცა მე მიწადადა მეთქვა მხოლოდ ის, რომ ჩვენ ვალ-

დებული ვართ ყოველგვარ საშვალგებობით დავიცვათ ჩვენი ქვეყანა მანამ, სანამ მოწინააღმდეგეთ სურთ მისი დამარცხება. სხვანაირათ არც შეიძლება. ჩვენმა უცხოელმა ამხანაგებმა ეს საბოლოოთ უნდა ვაარკვიონ. ამ წლის იანვარში მე უკვე ვწერდი, რომ: „არც ერთი ქვიანი კაცი ზავის საკითხის ვადას ზეგისთვის არ გადასდებს, თუ კი მოსახერხებელია მისი ჩამოგდება ხელ...“

სამწუხაროთ, როგორც ეს მაშინც აღვნიშნე, ჩვენს გამოსვლას რეინსტაგში და პრესაში ზავის სასარგებლოთ, არ გამოეხმად გერმანიის წინააღმდეგ მებრძოლ ქვეყნების ამხანაგები, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ინგლისის დამოუკიდებელ მუშათა პარტიის რეზოლიუციებს“.

ამის შემდეგ, შეიღმანი ვრცლათ ეხება, თუ რამ აიძულა გერმანიის სოც. დემოკრატია ხმა მიეცა სამხედრო კრედიტებისთვის. იგი მოიგონებს რეინსტაგში პარტიის ლიდერების გამოსვლას და ბოლოს ამბობს:

„შეუძლია მებრძოლ ქვეყნების სოციალისტები მისწრაფებოდენ ერთი მიზნისკენ, მაშინ, როცა სხვა და სხვა გვართ ფიქრობენ? მე ეს ახლაც მოსახერხებლათ მიმაჩნია. ჩვენ არ უნდა მოვითხოვედეთ ერთი-მეორისგან ისეთ რამეს, რომელიც ერთი, ან მეორე ქვეყნისგან სხვერბლს მოითხოვს. მარა ჩვენ ვალდებული ვართ განვაცხადოთ, რომ მხათ ვართ დავიცვათ ჩვენი ხალხი და არ დავსაჯოთ სხვა ერები იმისთვის, რომ მათ მთავრობას დანაშაული შეუძღვის. ჩვენ შეგვიძლია, თუ ყველა მოინდომებს, შევქაოთ ისეთი ატმოსფერა, როცა შესაძლებელი გახდება ომის დაბოლოება. მარა ისე არა, რომ გამარჯვებულმა ფეხი დაადგას კისერზე დამარცხებულს. მარა, თუ უთუოთ უნდა გაგძლდეს ომი, მაშინ ჩვენც, გერმანიის სოც.-დემოკრატები, ყოველი დონით უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენს ხალხს, დაბოლოს, კისერზე ფეხი არ დაადგან.“

როცა ვანდერველდე ზავის აუცილებელ პირობათ ბელგიის თავისუფლებას აცხადებს,

ნებადართულია სპს. ინჟინერისგან. ქუთაისი. სტამბა „ქობა“, ქარვას. ქ. სახლი ჩარეკოვისა.

ეს ჩვენ კარგათ გვესმის. მარა ერთი საქმეა იქადაგო შენი ხალხის დაცვა და სულ სხვაა აღიარო ომი ბოლომდის და შურის ძიება.

ომი ბოლომდის — საშინელი სიტყვაა. ვინ იცის, როგორ გვაშორებს ეს აზრი მშვიდობიანობას! და, ვინ იცის, იქნებ ასეთი ბოლო, თუ კი გულის თქმას აყვევით და მშვიდობიანობის საკითხი შორს გადავდევით, ერთ და იმავე დროს გადაიქცეს ევროპის კულტურის სამარეთ. შეგვიძლია — კი ჩვენ, სოციალისტებს გულგრილათ ვუცქიროთ იმ ფაქტს, რომ დიდინის ომი ევროპის ყველა ხალხს ჩაავდებს სილატაკში და ბარბაროსებს დაამგზავს? არა! იმის მაგივრათ, რომ შურის ძიება მოვითხოვოთ, ჩვენ ვალდებული ვართ ხელი შევეწყუოთ ზავის ჩამოგდებას და ამ ათი თვის უმაგალითო ომით უზრუნველყოთ მომავალში მშვიდობიანი და ძმური კავშირი...“

როგორ შეხება ვანდერველდემ შეიღმანის გამოსვლას? თავის ღია წერილში ის ამბობს:

„ნება მომეკით, შეიღმანო, გიპასუხოთ თქვენ პირადათ, რადგანც ახლა გერმანელ ამხანაგთა შორის ისეთი უთანხმოება სუფევს, რომ გიპასუხოთ თქვენ, არ ნიშნავს ვუპასუხო ჰაზუს, ბერშტინს, ან ლიბკნეხტს.“

მარა უწინარეს ყოვლისა, მე უნდა შევიჩერდე თქვენი წერილის ზოგიერთ ადგილებზე. წერილის თავში ამბობთ, რომ, უკეთუ მე მელაპარაკნა პარიზში მუშების წინაშე, ვერ ავცილდებოდი შენიშვნებს და მივიღებდი მკაცრ პასუხს.

როცა ამას ვკითხოვო, მე ვფიქრობ, რომ თქვენ წარმოგვენაც კი არ გაქვთ იმ გასაცვიფებრელ ერთსულოვნობაზე, რომელიც სუფევს, როგორც საფრანგეთის, ისე ბელგიის პროლეტარიატში ამ უმაგალითო ომის პასუხისმგებელთა წინააღმდეგ.

(დასასრული იქნება).

რედაქტორ-გამომცემელი ს. შტედლიძე.

მიიღება ხელის მოწერა.

ამა 1915 წ. მკენისთვიდან გამომავალი სალიტერატურო, სამეცნიერო და სა-

პოლიტიკო ყოველთვიური ჟურნალი

„ახალი მოამბე“

ჟურნალი პარტიათა გარეშეა, დემოკრატიულ-პროგრესიული მიმართულებისა ჟურნალში უმახლობელეს მონაწილეობას მიიღებს ივანე სპ. ელიაშვილი.

თანამშრომლებად მოწვეულნი არიან ჩვენი ცნობილნი მწერალნი.

ჟურნალში დასაბეჭდათ მოწონებულ ნაწარმოებთა ავტორებს მიეცემათ შესაფერი ჰონორარი

პირველი ნუმერი გამოვა ეკენისთვის 20—25—დი, ზომით 15—20 ფორმაში რედაქციის ბინა: თფილისი. ყაზბეგის ქუჩის შესახვევი № 4. ფოსტით: Тиф-
лисъ, ред. груз. жур. „Ахали Моამბე“.

ფასი: წლიურათ 10 მ., ნახევარი წლით—6 მ., ხოლო ამა წლის ეკენისთვი-
დან ქრისტეშობისთვის გასვლამდე—4 მან. ფული უნდა გამოიგზანოს: Тиф-
лисъ, редакция груз. жур. „Ахали Моамბე“. Ивану Спир. Мп+აშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი ნინო ბეჟ. ყიფია ნისა.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სახალხო ფურცელი“

(სურათებიანი დამატებით).

წლიურათ ღირს 8 მან. 50 კ. ერთის თვით—75 კაპ.

მისამართი: Тифлисъ, газ. „Сахалхо Пурцели“ поч. ящ. № 190.

თფილისის წიგნის მაღაზიეზი იყიდება

გ. თუმანიშვილის წიგნები:

Итоги земскихъ совѣщаній на Кавказѣ.

ფ. 60 კაპ.

Характеристика и воспоминанія,

(ქართველი და სომეხი მწერლები და სხვა მოღვაწეები. - ქართული თე-
ატრი. --რუსის მწერლები და მოღვაწეები კავკასიაში).

მეორე შეესებული გამოცემა. ფ. 50 კაპ.

ПЕРВЫЙ КАМЕНЬ

(Къ закладкѣ фундамента Тифл. Политехникума).

ფ. 15 კაპ.